



ტარიელ ფუტყარაძე, მიხეილ ლაბაძე

**ქართველურ-თურქულ სამეცნიერო კოდთა შერევის
კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჭაჯირების შთამომავალთა
მეცნიერების მიხედვით**

(FR-18-14869)

ანოტირებული ბიბლიოგრაფია ქართველურენოვან მუჭაჯირთა შესახებ

1. ზოგადი ხასიათის ნაშრომები/პუბლიკაციები

მუჭაჯირობის შესახებ ზოგადი ხასიათის ნაშრომებად/პუბლიკაციებად მოვიხსენიებთ ისეთ ნაშრომებს/პუბლიკაციებს, რომელთა ავტორებიც უმეტესწილად, არ აკონკრეტებენ მუჭაჯირთა წარმომავლობას და ზოგადად, მიმოიხილავენ მათთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს.

უპირველეს ყოვლისა, აქ დავასახელებთ უშუალოდ მუჭაჯირობის დროინდელ საგაზეთო პუბლიკაციებს. მაგალითად, გაზეთ „დროებაში“ 1878 წლიდან პერიოდულად ქვეყნდებოდა ხოლმე რეპორტაჟები აჭარიდან და აფხაზეთიდან (იხ.: 1878 წლის ##: 41, 129, 189, 190, 247, 239, 253, 267; 1879 წლის ##: 14, 24, 32, 35, 40, 127, 145, 177, 208; 1880 წლის ##: 4, 95, 118, 131, 151, 168, 196, 228, 234; 1882 წლის # 59; 1883 წლის # 245), რომლებშიც საუბარი იყო როგორც ოსმალეთში მიმავალ, ისე უშუალოდ იქ ჩასახლებულ მუჭაჯირთა ყოფა-ცხოვრების, გასაჭირისა თუ სხვა რამ მსგავსი საკითხების შესახებ. ამგვარი პუბლიკაციების წყალობით, იმდროინდელი ქართული საზოგადოებრიობა (და მათ შორის - ისინიც, ვინც აჭარიდან/აფხაზეთიდან ოსმალეთში წასვლას აპირებდა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიეღო) კარგად იყო გათვითცნობიერებული, თუ რას წარმოადგენდა და რა ზიანს მოუტანდა ქვეყანას მუჭაჯირობა. „დროების“ რეპორტაჟების დიდი ნაწილი ხელმოუწერელია და დაბეჭდილია სათაურით „ტელეგრამები“.

ამას გარდა, ცალკე უნდა გამოვყოთ 1878 წელს, გაზეთ „დროებაში“ (##: 154, 155, 156, 157) გამოქვეყნებული, დეკანოზ **დავით მაჭავარიანის** ვრცელი პუბლიკაცია (ფელეტონი): „**ხალხის არეულობა აფხაზეთში**“, რომელიც წარმოადგენს სანდო ისტორიულ პირველწყაროს აფხაზეთში მუჭაჯირობის II ეტაპის (1878-1882 წწ.) მიმდინარეობის შესახებ და შეიცავს მრავალ საინტერესო ინფორმაციას - მაგალითად, ავტორი გვამცნობს, რომ ოსმალეთის სამსახურში მყოფმა ძმებმა - ქამლათ-ფაშა და ოზბექ-ფაშა მარღანიებმა გემებზე ძალით აიყვანეს მრავალი ქართული ოჯახი, რომელთა შორის იყო მღვდელი **დავით ახვლედიანი** ცოლ-შვილით.

ასევე, აღსანიშნავია წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) პუბლიკაცია „შინაური საქმეები“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ივერიის“ 1879 წლის მეორე ნომერში და ეხება იმხანად ახლად შემოერთებულ ბათუმის ოლქში მიმდინარე მუჰაჯირობას. ავტორი ვრცლად მიმოიხილავს იმდროინდელ ვითარებას და ასკვნის: „ახლად შემოერთებულ ქვეყანას კალიასავით მიესია ყველა კალიაზე უფრო მსუნაგი, უფრო ხარბი, გაუმადლარი წვრილი ჩინოვნიკობა. ბრალი იმათ უნდა დავდოთ, ვინც აქამდე მიიყვანა საქმე“.

1912 წელს თბილისში, იაკობ ალექსანდრეს ძე მანსვეტაშვილის დაფინანსებით გამოიცა ზაქარია ჭიჭინაძის ნაშრომი: „ქართველ მაჰმადიანთ დიდი გადასახლება ოსმალეთში. მუჰაჯირი-ემიგრაცია“ (ელვერსია: <http://dspace.gela.org.ge/bitstream/123456789/6425/3/muhajiri-emigracia.pdf>), რომელიც საკმაოდ ვრცელია - მოიცავს 217 გვერდს. მასში მოყვანილია ძალზე საინტერესო მონაცემები 1877-1900 წლებში, ბათუმის ოლქის სოფლებიდან ოსმალეთში გადასახლებული მუჰაჯირების რაოდენობის შესახებ. ცნობილია, რომ მუჰაჯირობის მიმდინარეობისას, ზაქარია ჭიჭინაძემ რამდენჯერმე იმოგზაურა ბათუმის ოლქში და იქ მეტწილად, თავადვე შეაგროვა მასალები. აქ ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მასვე - პირველს იმდროინდელ ქართველ ავტორთა შორის - მოეპოვება ასევე ცნობები ლაზეთიდან გასახლებულ მუჰაჯირებზეც: ნაშრომის ერთ-ერთ თავს ასეთი სათაური აქვს: „ლაზების გადასახლება 1820-78 წ.“ (გვ. 160); მასში ავტორს მოჰყავს მხოლოდ მშრალი მონაცემები 1900-იან წლებში ოსმალეთის ტერიტორიაზე აღრიცხულ ლაზ მუჰაჯირთა შესახებ იმდროინდელ ფრანგულ გაზეთებზე დაყრდნობით, თუმცაღა არსად მიუთითებს ამ უკანასკნელთა დასახელებებსა და ნომრებს.

ნაშრომში არის კიდევ ერთი თავიც, სათაურით: „ლაზების გადასახლების ამბები შეკრებილი თვით ლაზებში“ (გვ. 170), რომელშიც მოყვანილია ისტორიულ-ლეგენდარული ხასიათის ცნობა იმის თაობაზე, რომ ლაზთა პირველი გადასახლება ოსმალეთის შიდა რეგიონებში (და უშუალოდ ქალაქ სტამბოლში) მომხდარა 1700 წელს. დასახელებულია ამ ცნობის მოპოვების წელი (1894 - იმხანად ზ. ჭიჭინაძე ბათუმში იმყოფებოდა), მაგრამ არაა დაკონკრეტებული ინფორმატორის ვინაობა.

ქართველთა გარდა, ზაქარია ჭიჭინაძე წერს ასევე, აფხაზთა, ოსთა და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა მუჰაჯირობის შესახებ. ყურადღებას იპყრობს მისი ამგვარი ცნობა:

„1894 წლებში ბათუმში მე ვნახე რამდენიმე აფხაზი, ოსმალოდამ დროებით მოსულნი და ბათუმის ახლოს თავიანთ მონათესავე აფხაზებთან დროებით მცხოვრებნი. ესენი გავიცანი. ლაპარაკი გვექონდა გადასახლებულ აფხაზებზედ. იგინი ქართულად კარგად ლაპარაკობდნენ. აქ მე მოვიყვან ეხლა იმას, რაც კი მათ სიტყვით სიტყვა მიაღებეს. აქ ჩემსას არასფერს მოუმატებ, ყოველივე მათი ნათქვამი არის.“

ბატონო ძიავ, რაც მოხდა, მოხდა, ჩვენ კი დავილუპეთ. ზოგი ჩვენი ბრალია, მაგრამ უმეტესი კი თქვენების ბრალია. ძალით სჯულიდან სჯულზედ გადასვლა არ არის კარგი. ჩვენ ორსავ მხრიდამ გვაშინებდნენ. ჩვენც ხამი ხალხი ვიყავით, ამიტომ მოვიშალენით ჩვენის ცხოვრებიდამ და წავედით ოსმალში საცხოვრებლად, სადაც ჩვენ ამით თითქმის დავილუპენით. ადრე იქ ჩვენი აფხაზების 100 ათასი კაცი მეტი იყო, დღეს კი იქ ამის აღარც მეათე ნაწილი დარჩა. ვინც იქ ჩვენი საცოდაობა ნახა, ვინც ჩვენი გაჭირება და სიღატაკეს შეესწრა, იგინი ცრემლებს ღვრიდნენ ჩვენის საცოდაობით. ასეთის საცოდაობით და გაჭირებით გაწყდა მთელი იქაური აფხაზები. გადარჩა ძალიან მცირე რიცხვი. ცოტანი სტამბოლში ვცხოვრობთ. ოსმალში ჩვენი დღეს აღარაფერი არის.

იქ თქვენ აფხაზებს ვეღარსად შეხვდებით, ცოტაოდენი აქეთ ლაზისტანში არიან დასახლებულნი. ესენიც აქ ისე წამხდარან, რომ მათ აფხაზურის აღარაფერი იციან, იგინი ლაზებს დანათესალებიან და დღეს ლაზურად ლაპარაკობენ. თქვენ მათ ლაზებისაგან ვეღარ გაარჩევთ.“ (167-169 გვ., ხაზგასმები ჩემია - მ.ლ.)

საინტერესოა ისიც, რომ მუჰაჯირობის ერთ-ერთი მხარდამჭერი და წამქეზებელი მუსა კუნდუხოვი ზაქარია ჭიჭინაძეს მოხსენიებული ჰყავს მუსა კულუხაშვილის სახელით: ნაშრომის სათანადო თავის სახელწოდებაა: „მუსა კულუხაშვილი, მახმედ თომაშვილი და ოსების გადასახლება ოსმალეთში“ (გვ. 172). იქვე მითითებულია, რომ ავტორისთვის ცნობები მიუწოდებია ვინმე ვასილ თედეშვილს. უდავოა, რომ ფორმა „კულუხაშვილი“ ხელნაწერის მცდარი წაკითხვის გამოა დაბეჭდილი - უნდა იყოს „კუნდუხაშვილი“, შეცდომა სტამბისეულია და არა ავტორისა.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ზაქარია ჭიჭინაძე არათუ ოს-აფხაზთა, არამედ ასევე ქართველების მუჰაჯირობის დასაწყისად მიიჩნევს XVIII საუკუნის ბოლო ოცწლეულს - მისი თქმით, კავკასიელ მუსლიმანებში სწორედ მაშინ გაჩნდა პირველად ოსმალეთში გადასახლების იდეა, რაც შემდგომში ეტაპობრივად განხორციელდა. ამდენად, ზ. ჭიჭინაძე მუჰაჯირობად მიიჩნევს 1815-1820 წწ. ლაზისტანის სანჯაყიდან, ხოლო 1828-1829 წწ. - ახალციხის ყოფილი საფაშოს ტერიტორიიდან ქართველ მუსლიმანთა (ლაზთა, მესხ-ჯავახთა) გასახლებასაც. დავძენთ იმასაც, რომ ამგვარ მოსაზრებას სხვა ავტორებთან არ ვხვდებით.

ამასთან, ზაქარია ჭიჭინაძეს, ბათუმში შეკრებილ ცნობებზე დაყრდნობით, წიგნში აგრეთვე მოცემული აქვს ოსმალეთში გადასულ ქართველ და აფხაზ მუჰაჯირთა სოფლების სიაც.

საბჭოთა კავშირში მუჰაჯირობის შესახებ ერთ-ერთი პირველი იყო ოსი ფილოლოგისა და საზოგადო მოღვაწის - გრიგოლ (ჯიგო) ალექსის-ძე მაგუროვის (1888-1979) ნაშრომი: „**მთიელთა გადასახლება თურქეთში. მთის ხალხთა ისტორიის მასალები**“ (Переселение горцев в Турцию. **Материалы по истории горских народов**), რომელიც დონის როსტოვში 1925 წელს გამოიცა რუსულ ენაზე. მისი მოცულობაა 202 გვერდი, ერთვის ასევე გასაშლელი რუკაც. მაგუროვის ხსენებული ნაშრომი მეორედ გამოიცა 1992 წელს ვლადიკავკაზში. იგი წარმოადგენს დოკუმენტთა კრებულს, მცირე გამოკვლევით. ცხადია, ავტორი თავს ვერ აღწევს საბჭოთა კონიუნქტურას.

მუჰაჯირთა შესახებ ზოგადი ხასიათის ნაშრომთაგან უნდა აღინიშნოს ასევე, ბულგარელი აკადემიკოსის - ნიკოლა ტოდოროვის (1921-2004) ცნობილი მონოგრაფია „**ბულგარელი ხალხის მდგომარეობა თურქთა მონობაში: დოკუმენტები და მასალები**“ (Положението на българския народ под турско робство: Документи и материали), რომელიც 1953 წელს გამოიცა სოფიაში, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით. წარმოადგენს ფრიად ფასეული ოსმალური და ბულგარული დოკუმენტების კრებულს, ვრცელი გამოკვლევითა და კომენტარებით. ნაშრომის მოცულობაა XX+464 გვერდი.

ნიკოლა ტოდოროვის ხსენებულ მონოგრაფიაში 300-325 გვერდებზე მოყვანილია ძალიან საინტერესო დოკუმენტები და მასალები ბულგარეთში დასახლებულ აფხაზ (აზაზა) და ჩერქეზ მუჰაჯირთა შესახებ. მათი დიდი ნაწილი შეეხება ბულგარელთა 1876 წლის აპრილის აჯანყებას, რომლის ჩახშობაშიც დიდი როლი ითამაშეს სწორედ მუჰაჯირებმა. კერძოდ, ყურადღებას იქცევს სამი დოკუმენტი:

1) დიდი ბრიტანეთის ბურგასელი კონსულის - ჩარლზ ბროფის 1876 წლის 14 ივნისის ანგარიში კონსტანტინოპოლში მყოფი ბრიტანელი ელჩის - ჰ. ელიოტისადმი (გვ. 312-313), რომელშიც ნათქვამია, რომ ჩერქეზი მუჰაჯირებისგან შემდგარი რაზმები **ქამლათ-ფაშას** და **ოზბექ-ფაშას** მეთაურობით სასტიკად აწიოკებდნენ ბულგარულ ქრისტიანებს. დაწვრილებითაა ჩამოთვლილი ყველა ის მხეცობა და არაადამიანობა, რასაც მუჰაჯირები იჩენდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ, მაგ.: ჩერქეზებმა ქრისტიანებს მოსტაცეს ბავშვები და მონებად წაიყვანეს თავიანთ სოფლებში.

2) დიდი ბრიტანეთის რუსელი კონსულის - რ. რიდის 1876 წლის 16 ივნისის ანგარიში კონსტანტინოპოლში მყოფი ბრიტანელი ელჩის - ჰ. ელიოტისადმი (გვ. 316-317), რომელშიც ნათქვამია, რომ **ქამლათ-ფაშას** და **ოზბექ-ფაშას** ჩერქეზები დათარეშობდნენ პლევნისა და ტირნოვოს მხარეებში და აჯანყების მონაწილეთა გამოვლენისა და დასჯის საბაბით, მშვიდობიან გლეხებს ხოცავდნენ, ან იტაცებდნენ და მათი ოჯახებისაგან ითხოვდნენ გამოსასყიდს. მხარეთა ქრისტიანული მოსახლეობა პანიკაში იყო და შველას თხოულობდა.

3) აჯანყების ერთ-ერთი მეთაურის - ხრისტო ბოტევის „ჩეთნიკების“ რაზმის ერთ-ერთი გადარჩენილი წევრის - **ნიკოლა ობრეტენოვის** მონათხრობი (გვ. 324-325) იმის თაობაზე, რომ მათ განსაკუთრებით მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ჩერქეზების ათასეული ვინმე **ჯამბულეთის** ხელმძღვანელობით. **ჯამბულეთი** ჩერქეზულ სოფელ **ტიპჩენიცას** (მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთ ბულგარეთში - ვრაცას ოლქის მეზდრას თემში) მცხოვრები ყოფილა და სწორედ მას მოუკლავს ბოტევი მიპარვით, 1876 წლის 1 ივნისს, საღამოს 20:00 საათზე, ამჟამინდელი ვრაცას ოლქის სოფ. **ოვოლჩიცასთან** ბრძოლაში. სანაცვლოდ, იმ დღესვე, ხრისტო ბოტევის რაზმის მდივანმა - **გიორგი აპოსტოლოვ მინჩევმა** მოკლა თვით **ჯამბულეთიც**.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტებში ნახსენები **ქამლათ-ფაშა** და **ოზბექ-ფაშა** თავად **კაცია ბეჟანის ძე მარღანიას** ვაჟიშვილები არიან - სწორედ ისინი, რომლებიც 1877 წლის 30 აგვისტოს სხვა აფხაზ მუჰაჯირებთან ერთად გადასხდნენ გუდაუთაში, დაიკავეს და გადაწვეს ქალაქი, ხოლო მისი მცხოვრებნი, სხვა გლეხებთან ერთად, სულთნის ერთგულებაზე დააფიცეს და წამოიწყეს აჯანყება. როგორც ცნობილია, მოგვიანებით, მძებმა მარღანიებმა აფხაზეთის ათასობით მკვიდრი, ეთნიკური წარმოშობის განურჩევლად, ძალით არეკეს გემებზე ოსმალეთში წასაყვანად (იხ. აქვე, შესავალი).

ჯამბულეთის ვინაობას რაც შეეხება: დღესდღეობით, სოფელ ტიპჩენიცაში ჩერქეზები აღარ ცხოვრობენ. მის ვებგვერდზე¹ ჩვენ მოვიძიეთ ინფორმაცია, რომ **ჯამბულეთი** - ცნობილი ასევე, როგორც **ჯამბალაზი** - იყო ჩერქეზ მოლაშქრეთა რაზმის მეთაური. ეს პიროვნება „ჯამბალაზის“ სახელითვე იხსენიება ასევე, ბულგარული ლიტერატურის ცნობილი კლასიკოსის - ივან ვაზოვის ნაწარმოებებშიც. სავარაუდოდ, იგი უნდა იყოს უბიხი თავადი **ჯამბულათ ბერზეგი**, რომელიც მუჰაჯირობამდე ცხოვრობდა სოფ. მუტხიუასუაში (დღეს - პლასტუნკა) და 1864 წლის დეკემბრის თვეში, თავის გლეხებთან ერთად ოსმალეთში მუჰაჯირად წასული, ვარნაში ჩავიდა. თურქეთში, ჩანაქვალეს სამხედრო მუზეუმის შაჰიდების სიაში იგი **ჩერქეზ ჯანბოლათ ბეის** სახელითაა მოხსენიებული.²

¹ იხ.: <http://www.tipchenitsa.mezdra.bg> დამოწმებულია 03.05.2019

² იხ.: http://www.canakkalemuzesi.com/incsehitler/sehitler_detay.asp?intSehitID=109087 დამოწმებულია 03.05.2019

აქვე უნდა მოვიხსენიოთ, ასევე, ცნობილი აფხაზი ისტორიკოსის - გიორგი ძიძარიას (1914-1988) მონოგრაფია: „**მუჰაჯირობა და XIX საუკუნის აფხაზეთის ისტორიის პრობლემები**“ (**Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия**) რომელიც 1962 წელს სოხუმში, რუსულ ენაზე გამოიცა. ის შედგება შვიდი თავისაგან, დაერთვის შესავალი, დასკვნა, სახელთა და შემოკლებათა საძიებელი. საერთო მოცულობაა 540 გვერდი. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ნაშრომი, ზოგადად, ზღვარს გადასული ტენდენციურობით გამოირჩევა, თუმცა საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, ვიდრე ჩვენს დღეებამდე, სწორედ ის წარმოადგენდა ერთადერთ სამეცნიერო ნაშრომს, რომელშიც ასე თუ ისე ვრცლად იყო აღწერილი მუჰაჯირობის პროცესი 1912 წლამდე (ანუ, მხოლოდ პირველი და მეორე ეტაპი).

მართალია, ძიძარიას მონოგრაფიაში აქცენტი ძირითადად, საქართველოს ერთ კუთხეზე - აფხაზეთზე კეთდება, მაგრამ მოცემულია აგრეთვე ცნობები ბათუმის ოლქის თაობაზეც: მეხუთე თავის (რომლის სათაურია „1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომი და აფხაზეთი“, გვ.302-420) მე-7 ქვეთავში - „მიგრაციული პროცესი სამხრეთ საქართველოში, ჩრდილო კავკასიასა და კავკასიის მხარის სხვა რაიონებში“ (გვ. 406-420) საუბარია ზემო და ქვემო აჭარაზე, ასევე - უშუალოდ ქ. ბათუმზეც. ავტორი იმოწმებს როგორც წინამორბედი ისტორიკოსების ნაშრომებს, ისე - 1877-1878 და შემდგომი წლების პრესასაც.

იმდროინდელი კონიუნქტურიდან გამომდინარე, ცხადია, გ. ძიძარია არსად უთითებს, რომ მუჰაჯირობა რუსეთის იმპერიის შოვინისტური პოლიტიკის შედეგი იყო - მხოლოდ გაკვრით საუბრობს „ცარიზმის მესვეურებზე“, მთელ პასუხისმგებლობას კი ოსმალეთის სულთნის კარსა და ევროპელ (კერძოდ - ინგლისელ) აგენტებს აკისრებს. ამგვარი თვალსაზრისი გაბატონებული იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში.

როგორც შესავალშიც აღვნიშნეთ, გ. ძიძარიას მონოგრაფიაში საინტერესოდ ვცანით ერთი გაკვრითი ცნობა იმის თაობაზე, რომ: „1877 წელს თურქულმა სამხედრო ხელმძღვანელობამ აფხაზეთიდან წაიყვანა ასევე არააფხაზური მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა. ეს ეხება, მაგალითად, მეზობელი სამეგრელოს და საქართველოს სხვა კუთხეების იმ მოსახლეობას, რომლებიც იმ დროისთვის აღმოჩნდნენ საომარი მოქმედებების ტერიტორიაზე“ (გვ.371; ხაზგასმამ ჩემია - მ.ლ.).³ როგორც იმდროინდელი ქართული პრესის პუბლიკაციებიდან ირკვევა, ქამლათ-ფაშა და ოზბექ-ფაშა მარღანიებმა აფხაზეთის მკვიდრნი თავის გემებზე ეთნიკური კუთვნილების და რწმენის განურჩევლად არეკეს. გიორგი ძიძარიამ ამაზე ყურადღება არ გაამახვილა - მხოლოდ გაკვრით მიუთითა, რის შემდეგაც ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა მცდარი თვალსაზრისი: თითქოსდა, აფხაზეთიდან 1877-1878 წწ. გადასახლებულ მუჰაჯირთა შორის ეროვნებით ყველა აფხაზი (აფსუა) იყო. არადა, 1877-1878 წწ. ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მასალებიდან ცხადი ხდება, რომ მუჰაჯირთა შორის ქართველებიც მრავლად იყვნენ.

ფასეულ ცნობებს შეიცავს თურქი ისტორიკოსის - ჰასან იუქსელის სტატია: „**კავკასიიდან გადასახლებულთა სამოსახლო ადგილები**“ (**“Kafkas göçmen vakıfları”**), რომელიც 1994 წელს გამოქვეყნდა კრებულში: „**ანკარის უნივერსიტეტის ოსმალეთის ისტორიის სამეცნიერო-გამოყენებითი ცენტრის შრომები**“ (**Ankara Üniversitesi Osmanlı Tarihi Araştırma ve Uygulama**

³ «В 1877 году турецкое командование увезло из Абхазии и некоторое количество неабхазского населения. Это относится, например, к жителям соседней Мегрелии и других районов Грузии которые в тот момент оказались на территории военных действий»

Merkezi (OTAM) Dergisi), ტომი 5, გვ. 475-488. მასში მოცემულია თურქეთის ცენტრალურ შავიზღვისპირეთში (თანამედროვე **სინოპ-სამსუნ-ორდუ-გირესუნ-ამასია-ქასთამონუ-თოქათის** ილევში) მდებარე იმ სოფლების სია, სადაც ოსმალეთის სახელმწიფო ხაზინის კუთვნილ მიწებზე (ვაკუფებზე) დაასახლეს კავკასიიდან გადმოსული მუჰაჯირები. ჰასან იუქსელს, სათანადო დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით, ჩამოთვლილი აქვს 150-ზე მეტი სოფელი. მოჰყავს ცნობები იქ ჩასახლებულ მუჰაჯირთა რაოდენობის, სქესობრივი შემადგენლობისა თუ ოჯახური მდგომარეობის შესახებ, მაგრამ არსად მიუთითებს მათ წარმომავლობას.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ცნობილი თურქი ისტორიკოსის - **მუამმერ დემირელის** ვრცელი სტატია „**ართვინიდან და ბათუმიდან გადასახლებულები (1877-1878 წწ. ოსმალეთ-რუსეთის ომის შემდეგ)**“ (**Artvin ve Batum göçmenleri [1877-1878 osmanlı-rus savaşı'ndan sonra]**), რომელიც 2009 წელს გამოქვეყნდა არზრუმის ათათურქის სახელობის უნივერსიტეტის თურქოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის შრომათა კრებულის (**Türkiyat Araştırmaları Enstitüsü Dergisi**) მე-16 ტომის მე-40 ნომერში (ელვერსია: <http://e-dergi.atauni.edu.tr/ataunitaied/article/view/1020002200>), გვ. 1123-1145.

მუამმერ დემირელის სტატიაში საკმაოდ ვრცელადაა განხილული 1878 წლიდან ვიდრე 1893 წლამდე რუსეთიდან ოსმალეთში გადასული მუჰაჯირების განსახლებასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, ვგებულობთ, რომ ომის შემდეგ, „ართვინელი და ბათუმელი ლტოლვილები გადაყვანილი იქნენ ხოფის, არქაბისა თუ სხვა ახლომდებარე ნავსადგურებში და ხომალდებით გაგზავნილ იქნენ სტამბოლსა და ასევე იმ ადგილებში, სადაც [თავად] ისურვებდნენ. [დანარჩენი] ლტოლვილები განთავსებულ იქნენ შავიზღვისპირეთის შესაბამის ადგილებში. ქობულეთიდან გადმოსული ლტოლვილები კი მაშინვე განათავსეს უახლოეს კაზებში - ხოფასა და ფაზარში (ანუ ათინაში). 1879 წელს კი, ტრაპიზონის ცენტრში ფეხით ჩამოსული ლტოლვილები დროებით აქჩაბათის ნაპირს სოფ. სუვაში (აქიაზიში) განათავსეს, მერე კი ორდუში გადაიყვანეს. 1886 წლის 1 ივლისისათვის, ორდუს კაზას სანაპიროებზე განთავსებული იქნა ქობულეთიდან გადმოსული ქართველების 1034 ოჯახი - 4254 სული. აქედან 393 ოჯახი - 1572 სული ორდუს კაზაშივე დარჩა, ფერშემბეს ნაპირში გადავიდა 224 ოჯახი - 932 სული, ულუბეის ნაპირში გადავიდა 67 ოჯახი - 355 სული, ჰაბსამანაში - 119 ოჯახი - 517 სული, ბოლამანში - 231 ოჯახი - 875 სული“⁴ (გვ. 1128-1129). ავტორი ეყრდნობა სანდო ოსმალურ დოკუმენტებსა და წინამორბედი მკვლევარების შრომებს.

მუჰაჯირობის შესახებ ფასდაუდებელ ცნობებს შეიცავს თურქი ისტორიკოსების - **ქემალ გურულქანის, ალი ოსმან ჩინარის, იუსუფ იჰსან გენჩისა და ულურჰან დემირბაშის** რედაქციით მომზადებული დოკუმენტთა კრებული: „**კავკასიიდან გადმოსახლებულნი ოსმალურ წყაროებში**“ (**Osmanlı Belgelerinde Kafkas Göçleri**), რომელიც სტამბოლში გამოიცა 2012 წელს ორ ტომად. ორივე ტომი საკმაოდ სქელტანიანია: პირველი მოიცავს 586 გვერდს, ხოლო მეორე კი - 450-ს.

⁴ „Artvin ve Batum göçmenleri Hopa, Arhavi ve diğer takip eden limanlardan vapurlarla İstanbul veya iskân edilecekleri bölgelere sevk edilmişlerdir. Göçmenler, Karadeniz sahili boyunca uygun yerlerde yerleştirilmişlerdir. Batum Çürüksu göçmenlerinden bir kısmı hemen sınıra yakın Hopa ve Pazar (Atina) kazalarında iskân edilmişlerdir. 1879 yılında kara yoluyla Trabzon şehir metkezine gelen göçmenler geçici olarak Akçaabat nahiyesinin Suva (Akyazı) köyüne yerleştirilmişler ve daha sonra Ordu'ya göçmen gönderilmişlerdir. 1 Temmuz 1886 tarihi itibarıyla Ordu kazası dâhilinde toplam 1034 hanede 4254 nüfus Batum Çürüksu Gürcü göçmeni iskân edilmiştir. Bunlardan Ordu kazasında 393 hanede 1575 nüfus, Perşembe nahiyesinde 224 hanede 932 nüfus, Ulubey nahiyesinde 67 hanede 355 nüfus, Habsamana'da 119 hanede 517 nüfus, Bolaman'da 231 hanede 875 nüfus iskân edilmiştir.“

ხსენებულ ნაშრომში მოყვანილი და განხილულია თითქმის ყველა ის დოკუმენტი, რომელიც 1864-1912 წლებში ოსმალეთის ტერიტორიაზე გადასულ მუჰაჯირებს შეეხება. მოცემულია მათი ფოტოასლები და ტექსტური ვერსია თანამედროვე თურქულ-ლათინური ანბანით; დოკუმენტები დათარიღებულია როგორც ჰიჯრით, ისე - ჩვენი წელთაღრიცხვის ახალი სტილით. მეორე ტომს თან ერთვის ასევე, ვრცელი საძიებელი, რუკები და დემოგრაფიული ტაბულები, რომლებშიც საკმაოდ დაწვრილებითაა მოცემული ცნობები მუჰაჯირთა განსახლების, ახალ საცხოვრის ადგილებში მათი ხვედრითი წილისა თუ სქესობრივ-ოჯახური შემადგენლობის შესახებ.

უშუალოდ ქართველ მუჰაჯირთა შესახებ კრებულში უამრავი საყურადღებო დოკუმენტი მოიპოვება, რომელთა დიდი ნაწილი ქართულ ისტორიოგრაფიაში აქამდე ცნობილი არ ყოფილა: მაგალითისთვის დავასახელებთ ერთ-ერთ ცნობას - **1887 წლის 21 ოქტომბერს, ხელისუფლების წარმომადგენლებს ბათუმიდან და ართვინიდან რიზეში ფეხით უნებართვოდ გადმოსული ქართველი მუჰაჯირები - სულ 5 ათასამდე კაცი კარანტინში მოუთავსებიათ და შემდგომში ყველანი - განურჩევლად იმისა, ჰქონდათ თუ არა მათ რუსული პასპორტი - უკანვე, რუსეთში გაუბრუნებიათ.** ოქმი ქართველ მუჰაჯირთა დაკავების და უკან გაბრუნების შესახებ შედგენილია მუჰაჯირთა კომისიის რიზეს განყოფილებაში (ტომი პირველი, გვ. 141).

მეორე საყურადღებო დოკუმენტია **1905 წლის 13 მაისის** ცნობა იმის თაობაზე, რომ ქალაქ სტამბოლის მიმდებარედ მცხოვრებ ქართველ (ტექსტში - ბათუმელ) მუჰაჯირებს ხელისუფლების წარმომადგენლები გამოუყოფენ ყოველდღიურ საარსებო მინიმუმად 1452 ოსმალური ყურუმის ღირებულების საკვებს, რაც 1905 წლის 25 აპრილის (ტექსტში თარიღი მოცემულია ჰიჯრით - 1321 წლის 25 ნისანი) დადგენილებით განსაზღვრულზე ნაკლებია, რამდენადაც ქვეყნის საყოველთაო მდგომარეობიდან გამომდინარე, მთავრობას დაპირებულის გაცემა აღარ ძალუძს. ცნობას ხელს აწერს სტამბოლის ხელისუფლების წარმომადგენელი რეჯებ-ეფენდი (ტომი მეორე, გვ. 188).

აქ უნდა დავასახელოთ თურქი ისტორიკოსის - **მეჰმეთ ჰაჯისალიჰოღლუს** რედაქტორობით 2013 წელს სტამბოლში გამოცემული სამეცნიერო პუბლიკაციათა კრებულიც: **„1864 წლის დიდი კავკასიური გადასახლება: რუსული კოლონიზაცია და კავკასიელთა განდევნა“** (1864 *Kafkas Tehciri: Kafkasya'da Rus Kolonizasyonu, Savaş ve Sürgün*), რომელიც მოიცავს 729 გვერდს. კრებულში დაბეჭდილი სტატიები შეეხება როგორც უშუალოდ მუჰაჯირობის პროცესს, ისე - მუჰაჯირობის შემდეგ (1870-1912 წწ.) ოსმალეთში დამკვიდრებულ კავკასიელთა სხვადასხვა სახის პრობლემებს. ჩვენი განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მკვლევარ **ნედიმ იფექის** სტატია: **„1864 წლის კავკასიელთა გადასახლების კვლევისას გამოყენებული წყაროები და პრობლემები“** (1864 *Kafkas Göçü Araştırmalarında Kaynaklar Ve Yöntem Sorunu*); ხსენებულ სტატიაში განხილულია მთელი რიგი იდეოლოგიური და კონიუნქტურული ხასიათის დებულებები, რომლებიც გაბატონებულია როგორც რუსულ, ისე თურქულ ისტორიოგრაფიაში.

ყურადღებას იქცევს ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ადამიანისა და მოსახლეობის კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკისა და ისტორიული დემოგრაფიის განყოფილების დოცენტის - დოქტ. **ვენცისლავ მუჩინოვის** ვრცელი სტატია: **„ოსმალეთის ხელისუფლების პოლიტიკა XIX საუკუნის 50-იან და 60-წლებში ბულგარეთის მიწებზე წარმოქმნილი ლტოლვილთა კრიზისის მოსაგვარებლად“** (Политика на османската власт за справяне с бежанската криза в българските земи от края на 50-те и 60-те години на XIX век) რომელიც 2013 წელს გამოქვეყნდა ბულგარულ

სამეცნიერო კრებულში „AHAMHE3A“ (# 4, გვ. 67-104). პუბლიკაცია ეხება მუჰაჯირობის პირველ ეტაპს (1864-1867 წწ.).

მუჩინოვის ამ სტატიიდან ვგებულობთ, რომ 1864 წელს მუჰაჯირების პირველი ნაკადი **ოსმალურ გემებს სოჭიდან და ანაპიდან პირდაპირ ვარნაში გადაუყვანიათ**. უკვე 1867 წლისთვის, ბულგარეთში აღრიცხულა **200 ათასამდე ჩერქეზი და 8 ათასამდე აფხაზი მუჰაჯირი** (გვ. 72-73), რაც რუსეთიდან ლტოლვილი მუსლიმანების ნახევარს შეადგენდა (ამ უკანასკნელთა რაოდენობა მთლიანად ყოფილა 350-დან 400 ათასამდე კაცი - იხ. იქვე, გვ. 74). რუსეთიდან გადმოსული ლტოლვილების მოზღვავენას ბულგარეთში გამოუწვევია ჰუმანიტარული კრიზისი, რომლის მოგვარებაც ადგილობრივ ხელისუფლებას მხოლოდ საკუთარი ძალებით ვეღარ მოუხერხებია და დახმარებისათვის კონსტანტინოპოლში, ცენტრალური ხელისუფლებისთვის მიუმართავს. უკვე 1868 წლის გაზაფხულის დამლევსთვის, კონსტანტინოპოლის მესვეურთა გამოყოფილი თანხით, დუნაის ვილაიეთში (ამჟამად - ბულგარეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი) დაუსახლებიათ 300 ათასამდე ლტოლვილი (გვ. 77); ეროვნებით უმეტესად ჩერქეზები ან ყირიმელი თათრები; აფხაზები (ავტორის ტერმინოლოგიით - აზაზები) კი ჩაუსახლებიათ ტირნოვოსა და პლოვდივის ახლოს (იხ. იქვე).

ასევე, საყურადღებოა თურქი მკვლევრის - რიზეს რეჯებ თაიფ ერდოღანის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ისტორიის განყოფილების დოცენტის, **ზეჰრა არსლანის** სტატია „**ბათუმელი ლტოლვილები (1914-1930)**“ (**Batum göçmenleri [1914-1930]**), რომელიც 2014 წელს დაიბეჭდა „**თურქული სამყაროს სოციალურ მეცნიერებათა კრებულის**“ (**Türk Dünyası Sosyal Bilimler Dergisi**) 71-ე ნომერში (გვ. 43-64). ზეჰრა არსლანი თავისი სტატიის დასაწყისში მოკლედ მიმოიხილავს კავკასიიდან ოსმალეთში მუსლიმან ლტოლვილთა გადასახლების ისტორიას 1829-1909 წლებში, მერე კი უშუალოდ პირველი მსოფლიო ომის პერიოდს აღწერს. განსაკუთრებით საინტერესოა ოსმალეთის ხელისუფლების მიერ 1913 წლის 19 მაისს (ჰიჯრით - 1325 წლის 30 ნისანს) მიღებული „**ლტოლვილთა კანონის**“ (**Göçmen kanunu**) მისეული ანალიზი: „ლტოლვილთა კანონის თანახმად, ოსმალეთის მიწებზე გადმოსული იმიგრანტთა ვინაობა უნდა გამოეძიებინათ და მხოლოდ ამის მერე მიეცათ მათთვის ქვეშევრდომობა. მრავალი მაგალითია იმისა, თუ როგორ ცდილობდა ეს ხალხი, გამოეძიებინათ შედეგად ქვეშევრდომობა მიეღოთ... ომის დროს ბათუმიდან გადმოსული იმიგრანტები მთავრობას თხოვნით მიმართავდნენ, რომ გამოეძიებინათ, იყვნენ თუ არა მათი ნათესავები ბათუმიდან ანატოლიაში უწინ გადმოსულ [მუჰაჯირთა] შორის. შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი წარდგენილი ასეთი თხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, ბათუმელმა იმიგრანტმა ოსმან ნიზამოღლუმ შემლო 1915 წელს, ქვეშევრდომობის მიღება და ქალაქ ანკარაში დასახლება“.⁵

⁵ „Göçmen kanununa göre Osmanlı topraklarına gelen göçmenlerle ilgili önce bir inceleme yapılıyor ve sonucunun olumlu çıkması durumunda bu kişilere vatandaşlık hakkı veriliyordu. Bu hususta belgelerde Batum'dan değişik yollarla Osmanlı topraklarına gelen ve yapılan araştırmalar sonucunda vatandaşlığa geçirilmesine karar verilen göçmenlerle ilgili birçok örnek vardır.... Savaş yıllarında Osmanlı ülkesine gelen Batumlu birçok göçmen, hükümete müracaat ederek daha önce Batum'dan Anadolu'ya göç eden akrabalarının olup olmadığının araştırılmasını talep etmiştir. Bu göçmenlerden birisi olan Nizam oğlu Osman, 1915 yılında Batum'dan gelerek Ankara'ya yerleşmek durumunda kalmış ve Dâhiliye Nezareti'ne yazdığı bir dilekçe ile Şile'de Batum'dan gelerek yerleşen akrabaları olup olmadığının araştırılmasını istemiştir“

ამ საკითხს ეხება ასევე, თურქეთის დიჯლეს უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ისტორიის განყოფილების დოცენტის, დოქტორ ჰაქან ასანის სტატია: „მუჰაჯირთა განსახლების პოლიტიკა ოსმალეთში სახელმწიფოებრიობის, ტომობრიობის და ბანდიტიზმის ფონზე (1860-1914)“ („Devlet aşiret ve eşkıya bağlamında osmanlı muhacir iskân siyaseti [1860-1914]“), რომელიც 2016 წელს გამოქვეყნდა თურქულ სამეცნიერო ჟურნალ „მიგრაციული კვლევების“ („Göç araştırmaları dergisi“) მესამე ნომერის მეორე ტომში (გვ. 34-61).

ჰაქან ასანი უთითებს, რომ ოსმალეთში კავკასიიდან გასახლებულ ჩერქეზებსა და მუსლიმან ქართველებს (ზოგადად, ჩერქეზები და ქართველები, მისი ცნობებით, მუჰაჯირთა შორის ყველაზე მეტნი ყოფილან) უმრავლესობა არც ერთ ადგილას არ შეუქმნიათ, მაგრამ თითქმის ყველგან, სადაც კი ჩაასახლეს, აქტიურად უჭერდნენ მხარს ოსმალეთის მთავრობის პოლიტიკას. აქედან გამომდინარე, არაიშვიათად, პირველ ხანებში, მათ დამხვდური მოსახლეობა უნდობლად ეკიდებოდა - განსაკუთრებით არათურქულ ან რომელიმე რელიგიური უმცირესობის სამკვიდრო მიწებზე. ამიტომაც, მუჰაჯირები ცდილობდნენ, რომ თავი მოეყარათ უშუალოდ დედაქალაქ სტამბოლის, ან სხვა რომელიმე დიდი ქალაქის მიმდებარედ, რათა ხელისუფლების ორგანოებთან მჭიდრო კავშირი ჰქონოდათ და გადარჩენილიყვნენ.

ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა 1877-1878 წწ. რუსეთთან ომში მარცხის შემდეგ, როდესაც ოსმალეთმა დაჰკარგა მთელი რიგი არათურქული ტერიტორიები. იმ დროს, კავკასიელ მუჰაჯირებს მოუწიათ ხელახლა აყრა და ერთიანად ახალ ადგილებში გადასახლება: „რუსეთის საზღვრების მიმდებარედ, მუჰაჯირთა დასახლებებით შექმნილი იყო ბუფერული ზონა. [1877-1878 წწ. ომში დამარცხების მერე] მუჰაჯირები განათავსეს რუსეთის საზღვრებიდან მოშორებით - უფრო სამხრეთისაკენ, ვიდრე სირიამდე. რუსეთს სურდა, რომ ოსმალებს ეს ხალხი თავიდანვე საზღვრიდან მოშორებით დაესახლებინათ: [წინააღმდეგ შემთხვევაში, მაგალითად,] არზრუმში თავმოყრილი მუჰაჯირები იოლად შეძლებდნენ ისევ რუსეთში დაბრუნებას. ბოლოს და ბოლოს, ომის შემდეგ, რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო შეთანხმება, რომლის თანახმადაც სივასის აღმოსავლეთით მუჰაჯირთა დასახლება აიკრძალა“⁶ (გვ. 41-42; ხაზგასმა ჩემია - მ.ლ.). ჰაქან ასანი იქვე იმასაც უთითებს, რომ შეთანხმება ძალაში იყო 1914 წლამდე.

იმავე ავტორის ცნობით, 1878 წლის შემდგომ, ოსმალეთის ადგილობრივ მოსახლეთა შორის კავკასიელი მუჰაჯირებისადმი დამოკიდებულება საგრძნობლად შეიცვალა: თუკი მანამდე მათ შედარებით მტრულად ხვდებოდნენ, ომის შემდეგ უკვე დახმარების ხელს უწვდიდნენ, რადგანაც თურქ ობივატელთა თვალში ეს ხალხი მუსლიმანობისთვისა და ოსმალეთის ერთგულებისათვის წამებულებად აღიქმებოდა. ყოველივე ამან დააჩქარა მუჰაჯირთა ინტეგრაციის პროცესი თურქ-ოსმალურ საზოგადოებაში და უკვე 1930 წლისთვის, მუჰაჯირთა შთამომავლები თავს თურქებად თვლიდნენ.

⁶ „Rusya sınıra yakın olup muhacirlerden müteşekkil bir tampon bölgenin oluşması ihtimalini göz önünde bulundurarak muhacirlerin Rus sınırından uzak bölgelere, Anadolu’nun güneyine hatta Suriye bölgesine yerleştirilmesini bildiriyordu. Başta Erzurum olmak üzere serhat vilayetlere yerleştirilecek muhacirlerin sonraki zamanlarda tekrar Rusya’ya geri dönebilecekleri ihtimaline karşılık Rusya, bunların sınır bölgeleri yerine sınıra daha uzak olan bölgelere yerleştirilmelerini istiyordu. Nihayet Rusya ile Osmanlı Devleti arasında 93 Harbi sonrasında konvansiyon yapıldı. Yürürlüğe giren bu konvansiyona göre Sivas’ın doğusunda kalan bölgelere muhacir yerleştirilmemesi yönünde antlaşmaya varıldı“

ბულგარელი მკვლევრის - ვენცისლავ მუჩინოვის მეორე სტატია: „ოსმალური პოლიტიკა დუნაის ვილაიეთში 1860-იან და 1870-იან წლებში ჩასახლებულ ჩერქეზ ლტოლვილთა მიმართ“ (Ottoman Policies on Circassian Refugees in the Danube Vilayet in the 1860s and 1870s), რომელიც 2016 წელს, ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა თურქულ სამეცნიერო კრებულში „Kafkasya Çalışmaları - Sosyal Bilimler Dergisi / Journal of Caucasian Studies (JOCAS)“ (# 3, ტომი მეორე, გვ. 81-94), ასევე ისტორიულ-დემოგრაფიული ხასიათისაა. მასში ავტორი მიუთითებს, რომ „დუნაის ვილაიეთი ოსმალეთის იმპერიის მთელ ბალკანურ სამფლობელოთა შორის ერთ-ერთი უმთავრეს ლოკაციას წარმოადგენდა ჩერქეზი მუჰაჯირების დასახლებლად, თუმცაღა სავარაუდოა, რომ [მუსლიმან ლტოლვილთა] მცირე ნაწილი აქ ჯერ კიდევ ყირიმის ომამდე დასახლდა“⁷ (გვ. 83).

მუჩინოვის ხსენებულ სტატიაში განსაკუთრებით ფასეულია ცნობები მუჰაჯირობის დროის ბულგარული პრესიდან. კერძოდ, მკვლევარი გაზეთ „დუნავის“ 1867 წლის 7 მაისის, 28 მაისის, 13 აგვისტოს, 27 აგვისტოს, 6 სექტემბრის და 4 ოქტომბრის ნომრებში გამოქვეყნებულ რეპორტაჟებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ 1867 წლის ბოლოსთვის, ბულგარეთში - დუნაის ვილაიეთში 8 000-დან 8 500-მდე აფხაზი (აბაზა) გადაუყვანიათ. მათი დიდი ნაწილი ჩერქეზებთან ერთად, ახლად დაარსებულ სოფლებში ჩაუსახლებიათ: „თუმცა, შემდგომ ამ კომპაქტური დასახლებების სრული კონტროლი მთავრობას გაუძნელდა, რამაც ოსმალთა მესვეურები აიძულა, შეეცვალათ პოლიტიკა და იმიგრანტები მცირე რაოდენობით მიმოეფანტათ უკვე არსებულ [სხვადასხვა] დასახლებებში. ამიტომაც, ჩერქეზთა ათი-ოცდაათი ოჯახისგან შემდგარი ჯგუფები მალე გაითქვიფა რუმჩუკის სანჯაყის ჩრდილო ნაწილში [მოსახლეთა შორის]“⁸ (გვ. 85). ჩვენი მხრივ, დავძენთ, რომ სწორედ ბულგარეთში ჩასახლებული და 1878 წელს, სან-სტეფანოს ზავის თანახმად იქიდან ოსმალეთში გადმოყვანილი მუჰაჯირების შთამომავლები არიან თანამედროვე დუზჯე-ადაფაზარში მოსახლე აფხაზ-აბაზები.

2019 წელს, სტამბოლში, „საქართველოსთან მეგობრობის ასოციაციამ“ (Gürcüstan Dostluk Derneği) გამოსცა წარმოშობით ქართველი მკვლევრის - მურათ ქასაბის კაპიტალური ნაშრომი „93 წლის ომის ბათუმელი მუჰაჯირები“ („93 Harbi Batum Muhacirleri“). ეს გახლავთ საკმაოდ ვრცელი - 832 გვერდიანი ნაშრომი, რომელიც შედგება 9 ნაწილისგან. ერთვის ასევე რედაქტორის წინასიტყვა, ავტორის წინასიტყვა, შესავალი, დანართი (მუჰაჯირთა სიები) და საძიებლები. ავტორისეულ გამოკვლევასთან ერთად, მასში მოცემულია საკმაოდ მდიდარი დოკუმენტური მასალა, რომლის დიდი ნაწილიც უწინ არ გამოქვეყნებულა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მართალია, სათაურში „ბათუმი“ ფიგურირებს, მაგრამ წიგნში საუბარია ზოგადად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე, საიდანაც 1878-1912 წწ. მუსლიმანი ქართველობა ოსმალეთში გადაასახლეს. „93 წლის ომი“ კი გახლავთ 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის თურქულ ისტორიოგრაფიაში მიღებული სახელწოდება (1878 წელი ჰიჯრით 1293 წელია).

⁷ „Danube Vilayet was one of the main locations of settlement in the Balkan territories of the Ottoman Empire for the Circassian refugees arriving from the Caucasus. While it is probable that a small number migrated to this region in the years before the Crimean War“.

⁸ „However, the difficulty of establishing government control over these compact settlements, forced Ottoman authorities to make a policy change after which they begin sending immigrants in small groups to existing settlements. This is how some small groups of Circassians, numbering between ten to thirty households, ended up in existing villages of the northern part of the Ruschuk sanjak“. რუმჩუკის სანჯაყი დღევანდელი რუსეს ოკრუგია ჩრდილო ბულგარეთში.

მურათ ქასაბის აღნიშნული ნაშრომის პირველი ნაწილი, სათაურით „ბათუმისა და მისი შემოგარენის შესახებ“ (*“Batum ve Havalisine Dair”*, გვ. 13-64) შეეხება ზოგადად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს იმ მხარეებს, რომლებიც 1878 წლამდე ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო. მიმოხილულია მათი ისტორია, დემოგრაფია, კულტურული თავისებურებანი XVII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისამდე. ავტორი მიმოიხილავს ამ პერიოდის ოსმალურ დოკუმენტებს, მსჯელობს მუჰაჯირობის წანამდღერებსა და ძირითად მიზეზებზე.

მეორე ნაწილი, სათაურით „ბათუმი XIX საუკუნის რუსეთ-ოსმალეთის ომებში და ბათუმის [ოსმალური] სახალხო ლაშქარი“ (*“19. Yüzyıl Osmanlı-Rus savaşlarında Batum cephesi ve Batum Asâkiri-i muâvene (Yardımcı Kuvvetleri) Ordusu”*, გვ. 65-156) შეეხება ძირითადად ოსმალური პერიოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამხედრო ისტორიას: ოსმალურ წყაროებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით, დაწვრილებითაა მიმოხილული 1877-1878 წწ. ომის წინა სიტუაცია, საომარი მოქმედებების დასაწყისი კავკასიის ფრონტზე, ოსმალური ჯარებისა და ომში მონაწილე ადგილობრივი (მუსლიმანი ქართველი) მოხალისეების მონაწილეობა ბრძოლებში, რუსთა არმიის შემოსვლა სამხრ.-დას. საქართველოში, ბათუმის და მისი შემოგარენის აღება მათ მიერ, ოსმალური ხელისუფლების და წესრიგის (ე.წ. „ნიზამის“) გაუქმება, მუჰაჯირობის დაწყება და მისი მიზეზები, 1878-1912 წწ. მუჰაჯირობა, 1914-1915 წწ. მუჰაჯირობა.

მესამე ნაწილი, სათაურით „აღმოსავლეთი და შუა შავიზღვისპირეთის ოლქი“ (*„Doğu ve Orta Karadeniz Bölgesi”*, გვ. 157-345) შეეხება თანამედროვე გუმუშჰანეს, რიზეს, ტრაპიზონის, გირესუნის, ორდუს, სამსუნის, თოქათის, ამასიისა და ჩორუმის რეგიონებს: ავტორი აღნიშნავს, რომ სწორედ ამ მხარეებში მიიღეს მუჰაჯირთა მრავალრიცხოვანი ჯგუფების 1877-1878 წწ. ომის დასრულებისას და ასევე - 1914-1915 წლებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორს მოჰყავს იმ სოფლების სია, სადაც ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლებამ მუჰაჯირები ჩაასახლა.

მეოთხე ნაწილი, სათაურით „დასავლეთი შავიზღვისპირეთის ოლქი“ (*„Batı Karadeniz Bölgesi”*, გვ. 346-372) შეეხება თანამედროვე სინოპის, ქასთამონუს, ბართინისა და დუზჯეს რეგიონებს. ავტორი საკმაოდ ვრცლად მიმოიხილავს ოსმალურ წყაროებსა და დოკუმენტებს, მათზე დაყრდნობით კი გამოაქვს საკმაოდ საყურადღებო დასკვნები. წინა ნაწილის მსგავსად, აქაც მოჰყავს იმ სოფლების სია, სადაც ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლებამ მუჰაჯირები ჩაასახლა. აღნიშნავს იმასაც, რომ მუჰაჯირთა შთამომავლები დღესდღეობით განსაკუთრებით ბევრნი არიან დუზჯესა და ადაფაზარის ოლქებში.

მეხუთე ნაწილი, სათაურით: „მარმარილოს ზღვის ოლქი“ (*„Marmara Bölgesi“*, გვ. 373-750) შეეხება თანამედროვე სტამბოლის, ქოჯაელ-იზმითის, საქარიას, იალოვას, ბურსას, ბალიქესირის, ჩანაქქალეს რეგიონებს. მოცულობით ეს არის ნაშრომის ყველაზე დიდი ნაწილი, რაც გასაკვირი არ არის - მარმარილოს ზღვის ოლქში მდებარეობს სტამბოლი, რომელიც ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქი იყო და როგორც ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოდან, ისე - ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებულ მუჰაჯირებს ოსმალური ხელისუფლება ძირითადად, სწორედ მის შემოგარენში უყრიდა თავს: თუ საომარი მოქმედებები სტამბოლამდე მოაწევდა, დედაქალაქის დაცვა მუჰაჯირებს უნდა უზრუნველყოთ. მურათ ქასაბი ვრცლად მიმოიხილავს მარმარილოს ზღვის ოლქში მუჰაჯირთა განსახლების საკითხს და მოჰყავს მათი სოფლების სია.

მეექვსე ნაწილი, სათაურით „ეგეოსის ზღვის ოლქი“ („Ege Bölgesi“, გვ. 751-755) შეეხება თანამედროვე აიდინის, აფიონ-ქარაჰისარის, იზმირისა და ქუთაჰიას რეგიონებს. ოსმალეთის იმპერიის დროს ამ ტერიტორიის სტრატეგიულობა განისაზღვრებოდა იმით, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს ქრისტიანი (მართლმადიდებელი) ბერძნები წარმოადგენდნენ, ხელისუფლება კი, გარკვეულ მიზეზთა გამო, დაინტერესებული იყო იქ მუსლიმანური მოსახლეობის ხვედრითი წილის გაზრდით. მურათ ქასაბი დაწვრილებით მიმოიხილავს ეგეოსის ზღვის ოლქში მუჰაჯირთა განსახლების საკითხს და მოჰყავს მათი სოფლების სია.

მეშვიდე ნაწილი, სათაურით „შიდა ანატოლიის ოლქი“ („İç Anadolu Bölgesi“, გვ. 756-762) შეეხება თანამედროვე ესქიშეჰირის, ანკარას, ნიღდეს, კონიას, კაისერის, იოზგათისა და სივასის რეგიონებს. ოსმალურ წყაროებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით, მურათ ქასაბი აღნიშნავს, რომ რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ოსმალეთისგან დაჟინებით მოითხოვდა რუსეთიდან წასულ მუჰაჯირთა შიდა ანატოლიაში - რუსულ-ოსმალური საზღვრიდან კარგა მოშორებით დასახლებას; ოსმალეთის მესვეურები იძულებულნი იყვნენ, შეესრულებინათ რუსების მოთხოვნა - მით უმეტეს, რომ მუჰაჯირთა რაოდენობა დიდი იყო და მხოლოდ სტრატეგიულად მიჩნეული რეგიონები თავს ვერ ართმევდნენ მათ დასახლებასა და უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს. მურათ ქასაბს ამ ნაწილშიც მოჰყავს მუჰაჯირთა სოფლების სია.

მერვე ნაწილი, სათაურით „აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ანატოლიის ოლქი“ („Doğu ve Güneydoğu Anadolu Bölgesi“, გვ. 763-768) შეეხება თანამედროვე არზრუმის (ერზურუმის), ერზინჯანის, მალათიას, მუშის, ბითლისის და დიარბაქირის რეგიონებს. ავტორი მართებულად მიუთითებს, რომ ამ რეგიონებში როგორც მაშინ, ისე დღესაც ქურთული მოსახლეობაა. ოსმალეთის ხელისუფლება საჭიროდ თვლიდა, იქ ჩაესახლებინა სულთნისადმი ლოიალური მუჰაჯირები, თუმცაღა ამას ერთი რამ უშლიდა ხელს: ეს ადგილები, გარკვეულწილად, ახლოს იყო რუსეთ-ოსმალეთის ახალ საზღვართან და შესაბამისად, იქ მასობრივად მუჰაჯირთა ჩასახლებას შეეძლო, რუსთა აღშფოთება გამოეწვია. მიუხედავად ამისა, არზრუმის (ერზურუმის), ერზინჯანის, მალათიას, მუშის, ბითლისის და დიარბაქირის რეგიონებში 1878-1882 წწ. ოსმალებმა მაინც ჩაასახლეს სამხრეთ-დასავლეთი საქართველოდან (იმერხევიდან და შავშეთიდან) წამოსული მუჰაჯირების 15 ოჯახი.

მეცხრე ნაწილი, სათაურით „ხმელთაშუა ზღვის ოლქი“ („Akdeniz Bölgesi“, გვ. 769-770) შეეხება თანამედროვე ადანასა და ჰათაის რეგიონებს. ოსმალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ავტორი უთითებს, რომ 1888 წლის 2 თებერვალს ადანაში ჩაუსახლებიათ ქართველ მუსლიმანთა ერთი, 4 სულიანი ოჯახი, 1892 წელს - იქვე ჩაუყვანიათ 3 ოჯახი, ხოლო 1904 წლის იანვრის თვეში კი ადანას ვილაიეთის ხელმძღვანელობას მიუღია და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველუყვია უკვე 11 ოჯახი - 52 კაცი. 1907 წლის 14 ოქტომბერს, ადანაში 1000-მდე ბათუმელი მუჰაჯირი ჩასულა და დამკვიდრებულა. გარდა ამისა, ჰათაიშიც სწორედ ამ პერიოდში ჩაუსახლებიათ 2 ექვსსულიანი ქართული ოჯახი და ა.შ. აღსანიშნავია ის ცნობაც, რომ ადანას ჯეიჰანის ილჩეში, დადესტნელების სოფელში ჯერ კიდევ 1869 წელს დასახლებულა ჰერელ (ინგილო) ქართველთა 14 ოჯახი სოფელ ალიაბადიდან (გვ. 769).

ზოგადად, **მურათ ქასაბის** ხსენებული ნაშრომი მუჰაჯირობის ისტორიის მკვლევართათვის ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენს.

2. ლაზ მუჰაჯირთა მეტყველებისა (დახასიათება, სამეტყველო კოდების შერევა...) და ისტორიის შესახებ გამოქვეყნებული მონოგრაფიების, სამეცნიერო სტატიების, ლექსიკონებისა და ტექსტების ანალიზი

მუჰაჯირი ლაზების შთამომავლები დღესდღეობით კომპაქტურად განსახლებულნი არიან, ძირითადად, დასავლეთ თურქეთში - სტამბოლში, დუზჯე-საფანჯა-ადაფაზარში, იზმითსა და იზმირში. თითო-ოროლა ოჯახს შეიძლება გადავეყაროთ თურქეთის სხვა ქალაქებშიც. როგორც წესი, მუჰაჯირთა შთამომავლების ახალგაზრდა თაობას ლაზურ კილოებზე საუბარი უჭირს (ან საერთოდ არ შეუძლია), თუმცა 40 წელზე მეტი ხნის თაობა ჯერ ისევ კარგად ფლობს წინაპართა მეტყველებას.

მუჰაჯირი ლაზები ორ ჯგუფად იყოფიან: 1) 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს (თურქულად მას უწოდებენ „93 წლის ომს“ [Doksan üç harbi] - 1878 წელი ჰიჯრით 1293 წელია) გადმოხვეწილები და 2) პირველი მსოფლიო ომის დროს (1915-1916 წწ.) გადმოხვეწილები. ორივე ჯგუფში აშკარა უმრავლესობას შეადგენს ჩხალისა და ბელღევანის ხეობების (ერთიცა და მეორეც მდებარეობს ამჟამინდელ ბორჩხის ილჩეში) ყოფილ მოსახლეთა შთამომავლობა. საკმაოდ არიან აგრეთვე, სხვა თემებიდან წამოსულებიც: არქაბელები, ვიწელები და ართაშენელები. ნაკლებად გვხვდებიან ხოფელები, მაკრიალელები და სარფელები.

აქედან გამომდინარე, დღესდღეობით, მუჰაჯირ ლაზთა შთამომავლების უმეტესობა შინ მეტყველებს **ხოფურ-ჩხალური კილოს ჩხალურ კილოკავზე**. მათ შორის წარმოდგენილია აგრეთვე ვიწურ-არქაბული კილოს არქაბული კილოკავი, ათინურ-ართაშენული კილოს ათინური და ართაშენული კილოკავები. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ არაიშვიათად, მუჰაჯირი ლაზები სახლობენ მუჰაჯირ მურღულელებთან, ანდა აჭარლებთან/მაჭახლელებთან ერთად და ლაზურ კილოთა პარალელურად, კარგად ფლობენ ლივანურ ან აჭარულ/მაჭახლურ კილოებსაც. ეს ასეა, მაგალითად, იზმითის ილის სოფ. ჩუბუქლუ-ბალაში, აჰმედიეში და სხვაგან. ამასთან, ყოველმა მათგანმა იცის თურქული, რომელიც სწავლა-განათლებისა და ოფიციალური კომუნიკაციის ენაა.

მუჰაჯირ ლაზთა შთამომავლების ქართველური მეტყველება ძლიერ სუსტადაა შესწავლილი - ქართველ მეცნიერთაგან ის არავის უკვლევია. რაც შეეხება ლაზთა მუჰაჯირობას, უპირველეს ყოვლისა, აქ უნდა დავასახელოთ **ზაქარია ჭიჭინაძის** ნაშრომი: „**ქართველ მაჰმადიანთ დიდი გადასახლება ოსმალეთში. მუჰაჯირი-ემიგრაცია**“, რომელიც 1912 წელს გამოიცა თბილისში და რომელიც ზემოთ უკვე განვიხილეთ. მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნში ლაზთა მუჰაჯირობის შესახებ ცნობები ძალზე ფრაგმენტულია, **ზაქარია ჭიჭინაძე** პირველი ქართველი პუბლიცისტია, ვინც მათი პრობლემით დაინტერესდა.

1915 წლის ლაზთა მუჰაჯირობის შესახებ საინტერესო ცნობები მოიპოვება ასევე, ქართული ლიტერატურის კლასიკოსის - **დავით კლდიაშვილის** (1862-1931) მემუარებში „**ჩემი ცხოვრების გზაზე**“, რომელიც პირველად 1925 წელს გამოქვეყნდა ტფილისში. აღსანიშნავია, რომ 1915 წელს დავით კლდიაშვილი, რომელიც რუსული არმიის ვიცე-პოლკოვნიკი გახლდათ, მობილიზაციით გაიწვიეს ომში. იგი ჯერ ბათუმის, შემდეგ კი - ლაზისტანის ფრონტზე გამწესდა, სადაც დაინიშნა სოფელ პირონითის (ხოფის და არქაბის თემების საზღვარზეა) სამხედრო კომენდანტად.

ადგილობრივ ლაზთა შორის დავით კლდიაშვილმა მალევე მოიხვეჭა სახელი - იგი ხშირად ხვდებოდა უბრალო ხალხს, მუდამ მზად იყო, დახმარებოდა მათ და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ როგორმე მუჰაჯირად წასვლა გადაეფიქრებინა მათთვის. ადგილობრივებისადმი ამგვარი

მოპყრობის გამო, ქართველი მწერალი ათვალწუნა რუსულმა საოკუპაციო ხელისუფლებამ - მას გაუხსენეს 1905 წელს, მეფის საწინააღმდეგო საპროტესტო გამოსვლებში მონაწილეობა (რის გამოც მაშინ გადადგომაც კი აიძულეს) და არასაიმედო პირად შერაცხეს.

1916 წლის დამლევს, რუსმა გენერალმა ვლადიმირ ლიახოვმა მოინდომა სოფ. პირონითის ცნობილი ციხესიმაგრის დანგრევა და მის გარშემო დიდი ტყის მასივის გაჩეხვა პარტიზანული მოძრაობის პრევენციის მიზნით. სოფლის მოსახლეობამ დავით კლდიაშვილს ამცნო ეს ამბავი და დახმარება სთხოვა. როგორც ქართველი მწერალი იხსენებს, ლაზთათვის ციხესიმაგრეც და ტყეც წმინდა ადგილები იყო და ისინი შეძრწუნებულნი იყვნენ ლიახოვის გადაწყვეტილებით. დავით კლდიაშვილმა გულთან ახლოს მიიტანა ლაზების თხოვნა: საგანგებო ბრძანებით, ციხესიმაგრესა და ტყეს დაცვა მიუჩინა და ლიახოვის ხელქვეითებს ჩანაფიქრის აღსრულების უფლება არ მისცა.

ფრონტის ხაზზე, რუსეთის არმიის ოფიცრისგან ამგვარი „თვითნებობა“ წარმოუდგენელი იყო. ვლადიმირ ლიახოვმა ყველაფერი ხელისუფლებას აცნობა და რეაგირებამაც აღარ დააყოვნა - ის ლაზები, რომლებმაც კომენდანტურაში სათხოვრით მისვლა გაბედეს, დააპატიმრეს, მათი ოჯახების წევრები კი ოსმალეთში გააძევეს. კლდიაშვილი კომენდანტობიდან გადააყენეს და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც აღმრეს. მწერალი ქალაქ ხოფაში გადაიყვანეს და იქ შინაპატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა საქმის წარმოება შეფერხდა. მალევე, დავით კლდიაშვილს 1917 წლის თებერვლის გადატრიალებამ მოუსწრო და ტრიბუნალის წინაშე აღარ წარმდგარა.

ლაზთა მუჰაჯირობის საკითხზე ფრიად სარწმუნო ცნობებს გვაწვდის ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი **იოსებ ყიფშიძე** (1882-1919) თავის „**საანგარიშო მოხსენებაში ჭანეთში მივლინებისა 1917 წლის ზაფხულს**“ (ენიმკის მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 145-177) მას მოჰყავს იმ სოფლების სია, საიდანაც 1915-1916 წწ. მოსახლეობა მუჰაჯირად წავიდა. აქვს ასევე ცნობები მუჰაჯირად წასულთა რაოდენობის შესახებაც (იხ. იქვე, 154-159 გვ.).⁹

მუჰაჯირობის შესახებ მეტად ფასეული ცნობები მოიპოვება ასევე, იოსებ ყიფშიძისავე „**ჭანურ ტექსტებში**“ (1939, ტფილისი): აქ 1-3 გვერდებზე დაბეჭდილია **მემედ ეჭენდი ქურჯ-ოსმან-ოღლისგან** (ჩხალის თემი, სოფ. დუზქოი), **ხუსეინ ეჭენდი ჩიჩეკ-ოღლისგან** (ხოფის თემის სოფ. პერონითი, ყიფშიძე უთითებს მის ძველ გვარსაც - **ჩიჩუვა**), **მუჰამედ ეჭენდი ქელერჯი-ზადესგან** (ხოფის თემის სოფ. ბუჯალი) 1917 წლის აგვისტოში ჩაწერილი ტექსტები მუჰაჯირობის შესახებ. ყიფშიძის ეს რესპონდენტები ყველაფრის უშუალოდ მომსწრენი და მონაწილენი იყვნენ; ამიტომაც, მათ მონათხრობს დღეს დოკუმენტის მნიშვნელობაც კი აქვს. მაგალითად, ბუჯალელი **მუჰამედ ეჭენდი ქელერჯი-ზადე**, რომელიც 1917 წელს 34 წლისა იყო, მუჰაჯირობას ამგვარად იხსენებს: „ჩქინ-თი არ ტაქიმიქ ჰუქუმეთიშ ემრის ქოდოგუჯერთი დო ზენგინეფე ორდო-ხოლო ჭელუკათენ დო მატორითე ირი-ხოლო ემდაფეთენ იგზალეს რიზინიშა დო ტამტრაშა. ჭუკარაფე დო მეთიმეფე ორდო-ხოლო ვარ ალეს, უკულე-თი ურუსიშ ასკერი გეკიშუ, ზავალი ჭუკარაფეჟ ფული-ფურთი მეხვეს დო იმტეს. ეკო ზორი აყვეს-ქი, ქიმის ბერე გუნდუნუ, ქიმის-თი - ნან-

⁹ საინტერესოა, რომ როგორც მოხსენებიდანვე ჩანს, ლაზეთში იოსებ ყიფშიძეს ფოტოებიც გადაუღია, რაც 1937 წელს - როცა ნაშრომი „ენიმკის მოამბეში“ გამოქვეყნდა - აღარ დაბეჭდილა: ამის მიზეზი უთუოდ ის უნდა იყოს, რომ იოსებ ყიფშიძის საანგარიშო მოხსენება და მასალები მაშინდელი ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტიდან უნებართვოდ გაუტანია ცნობილ პარტიულ ფუნქციონერსა და ავანტიურისტს - **ისქენდერ ციტაშს**, რომლის დაპატიმრების შემდეგაც (1937 წლის დამდეგს) მასალები დიდ ნაწილს ვერსად მიაგნეს (ამის შესახებ საგანგებოდ აღნიშნავს აკად. არნ. ჩიქობავა „ენიმკის მოამბის“ I ტომის 145-ე გვერდის სქოლიოში).

დიდი. მუთხანი რენ, არ ფორღანი დო არ ტაღანითე რიზინიშა ქომეხტეს; ქიმი - ჯამეს, ქიმი მედრესეს მულიზღეს.“¹⁰ (გვ. 2).

მუჰამედ ექენდი ქელერჯი-ზადე იქვე (გვ. 3) აღნიშნავს იმასაც, რომ ლაზმა მუჰაჯირებმა საარსებო საშუალების გაცემის მოთხოვნით მიმართეს მთავრობას, მაგრამ მან ყველა მუჰაჯირის დაკმაყოფილება ვერ შეძლო. ამის შემდეგ, მუჰაჯირთა ერთი ნაწილი ორდუმში, სამსუნსა და აქჩა-შეჰერში გადავიდა, ნაწილი კი უკან გამობრუნდა ათინისაკენ და მერე იქ რუსებს დანებდა. უკან გამობრუნებულ მუჰაჯირთა შორის იყვნენ ხოფელები, ბუჯაღელები და აზლაღელები, რომელთა სახლებსა და ქონებას ლაზეთში ჰემშილები დაჰპატრონებოდნენ. 1917 წლის ზაფხულში ეს ხალხი ფაქტობრივად, ხელახლა იწყებდა ცხოვრებას.

იოსებ ყიფშიძესვე, ათინელი ჰაკკი ექენდი მამინ-ზადესგან 1917 წლის 23 ივლისს ჩაუწერია მცირე მოცულობის ტექსტი, სათაურით „ჰუსუნერი მუხარებე“ („ახლანდელი ომი“, გვ. 73). მასში ნათქვამია: „ზაფისეფე ვალიქ ქოგამიფონუ დო მუხარებეშა მენდოშქუ. მუხარებე ხოპეს იერთუ. ზაფისეფე ჩეთე დოწოფხეს, მურღულიშა მუხარებეთე მენდახტეს“¹¹ - ექვგარეშა, მთხრობელი აქ 1915 წელს „ქართული ლეგიონის“ შექმნას გულისხმობს - მაშინ ოსმალეთის მთავრობამ მართლაც შეიწყალა ლაზეთის ის მკვიდრნი, რომლებსაც ბრალი სხვადასხვაგვარ დანაშაულში (ძირითადად - ყაჩაღობაში ანდა სულთნის საწინააღმდეგო ქმედებებში) ედებოდათ და „ქართულ ლეგიონში“ გააწევრიანა ყველანი. როგორც ტექსტიდან ჩანს, ჰაკკი ექენდი მამინ-ზადე იმ ლაზთა შორის იყო, ვინც იმხანად რუსთაგან ოკუპირებულ ლაზეთში დარჩა და მუჰაჯირობაში აღარ წასულა. იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ საომარი მოქმედებებისგან გაწამებულ ლაზეთის მოსახლეობას კავკასიელმა მუსლიმანებმა და ქართველებმა გაუწიეს დახმარება - გაუგზავნეს ფული, სურსათი, ტანსაცმელი თუ სხვა რამ საჭირო ნივთები (გვ. 74).

იოსებ ყიფშიძის მიერ მოპოვებული მასალების გარდა, 1915 წლის ლაზთა მუჰაჯირობის შესახებ მოთხრობილია ასევე, ხოფის თემის მკვიდრის - ცნობილი თვითნასწავლი მხატვრისა და სახალხო მთქმელის, **ხასან ჰელიმიშის** (1907-1976) „ავტობიოგრაფიაში“, რომელიც მას პირველად თურქეთიდან საბჭოთა საქართველოში გადმოსვლის შემდეგ - 1932 წელს დაუწერია ლაზურად (ხოფურ კილოზე), ხოლო 60-იანი წლების დამლევს კი გადაუთეთრებია და თან დაუმატებია იმ დროის მოვლენები. ჩვენ, 2012 წლის მარტში, სარფელი პედაგოგის - **ნოდარ (რაჭეთ) კაკაბაძის** ოჯახში მოვუსმინეთ აუდიოჩანაწერს, რომელშიც თავად ხასან ჰელიმიში კითხულობს თავის „ავტობიოგრაფიას“ და იქვე გავშიფრეთ.

1915 წელს - მუჰაჯირობის დაწყებისას, - ხასან ჰელიმიში 7 წლისა იყო. სხვა ხოფელებთან ერთად, მუჰაჯირად მისი ოჯახიც წავიდა: „შქით წანერი ზერე ვორტი ამა, ირი-ხოლო ქომშუნს. ხოფაშენ ჩარშამბაშა ქიმი ზულაშენ, ქიმი გალე კუჩხეთენ ე გინძე გზაფეს მუაჯირლუღის ნიტუ დო ზათენ, ნანა-ბაბა ჩქიმითი ენთეფეს აკათეს... ზათენ, ემუშენი ვარ ტუი, მაეჩანი ოშწანურას

¹⁰ „ჩვენც, ერთმა ნაწილმა მთავრობის ბრძანებას დაგუჯერეთ და მდიდრები სასწრაფოდ ფელუკითა და მოტორიანი ნავებით, ნივთებითა და ყველაფრით გაემგზავრნენ რიზეში და ტრაპიზონში. ღარიბებმა და ობლებმა სასწრაფოდ წასვლა ვერ შეძლეს და მერე რუსის ჯარიც მიეწია [მათ]. საწყალმა ღარიბებმა ბარგი-ბარხანა მიჰყარეს და გაიქცნენ. ისე გაუჭირდათ, რომ ზოგს ბავშვი დაეკარგა, ზოგსაც - ბებიი. რაღაც ერთი საბნითა და ტაფით (ე.ი. ელემენტარული საყოფაცხოვრებო ნივთების ამარა - მ.ლ.) რიზეში მივიდნენ. [იქ] ზოგი - მეჩეთში, ზოგიც მედრესეში მოთავსდა („შეიყარა“).“

¹¹ „ვალიმ პატიმრები გამოიყვანა და ოშში გაუშვა. ომი ხოფაში იყო („იქნებოდა“). პატიმრებმა პარტიზანთა რაზმი შეადგინეს, მურღულში ომით წავიდნენ“

ქართულ ქოდაფსკიდი დო არ სუმ სინიჭიმ მეტა კითხალა ვა ემაზდუ¹² - ამგვარად იხსენებს მხატვარი მაშინდელ ამბებს. მუჰაჯირობაში დაიღუპა მამამისი - ჰელიმ ჩოხატარ-ოღლი (საბჭოთა საქართველოში გადმოსულმა ხასანმა მისი სახელიდან აწარმოა ფსევდონიმი), ხოლო დედამ კი ხასანთან ერთად, 1917 წლის ბოლოს, ხოფაში დაბრუნება შეძლო.

მუჰაჯირად წასულ ლაზთა შთამომავლების მეტყველებას რაც შეეხება: ქალაქ იზმიტის მკვიდრმა, ინტელექტუალმა მუნირ ილმაზ ავჯიმ (1939-2017) 1999 წელს, სტამბოლში გამოაქვეყნა ლექსებისა და მოთხრობების კრებული, სახელწოდებით „შურიმშინე“ („Şurimsine“), რომლის მოცულობაა 287 გვერდი. საკუთარ ლექსებთან ერთად, მუნირ ილმაზ ავჯიმ წიგნში იზმიტელი ლაზი მუჰაჯირებისაგან განაგონი ხალხური ლექსებიც შეიტანა (გვ. 120-135). ლაზურისთვის მან გამოიყენა თურქულ-ლათინური გრაფიკა.

2003 წელს, მუნირ ილმაზ ავჯიმ სტამბოლშივე გამოსცა ასევე, წიგნი „ლაზური გრამატიკა“ (თურქ. *Lazca Dilbilgisi*, ლაზ. ლაზური ნენაჩქინა [*Lazuri Nenaçkina*]), რომლის მოცულობაა 185 გვ. მიუხედავად იმისა, რომ წიგნს მეცნიერული ღირებულება არცა აქვს (ავტორს ენათმეცნიერული განათლება არ ჰქონია და შედგენისას, ნიმუშად გამოიყენა თურქული გრამატიკა), ყურადღებას უდავოდ იქცევს იმით, რომ საილუსტრაციო მასალა მასში ხოფური კილოს იმ კილოკავზეა, რომელიც იზმიტში მცხოვრები ლაზი მუჰაჯირებისთვისაა დამახასიათებელი. წიგნს თან ერთვის საკითხავი ტექსტები ლექსებისა და მოთხრობების სახით; ლაზურისთვის ამჯერადაც თურქულ-ლათინური გრაფიკაა გამოყენებული.

კიდევ ერთი ნაშრომი, რომელიც ლაზ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებას შეეხება, გახლავთ ისმაილ ბუჯაქლიშის, ჰასან უზუნჰასანოღლისა და ირჰან ალექსივას (ჩაღათაის) მიერ 2007 წელს, სტამბოლში გამოცემული „დიდი ლაზური ლექსიკონი“ (თურქ. *Büyük lazca sözlük*, ლაზ. დიდი ლაზური ნენაფუნა [*Didi lazuri nenapuna*]), რომლის სიტყვარის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს დღევანდელ დასავლეთ თურქეთში - დუზჯეს, ადაფაზარის, საფანჯას, იალოვასა და იზმიტის ილებში მოსახლე ლაზი მუჰაჯირების შთამომავლებში შეკრებილი ლექსიკა. ლექსიკონი საკმაოდ ვრცელია - მისი ლაზურ-თურქული ნაწილი შეიცავს 22 ათასამდე ლექსიკურ ერთეულს; საერთო მოცულობა კი შეადგენს 1164 გვერდს. მართალია, ლექსიკონს მაღალი ენათმეცნიერული ღირებულება არ აქვს, მაგრამ ის, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს სიტყვარის გამო: ამ მოცულობის სხვა ლაზური ლექსიკონი თურქეთში ჯერაც არ გამოცემულა.

„დიდი ლაზური ლექსიკონის“ შემდგენლები წიგნის შესავალში საგანგებოდ მიუთითებენ, რომ მათთვის მეტად ფასეული აღმოჩნდა ლაზ მუჰაჯირთა შთამომავლებთან მუშაობა, რომლის დროსაც გამოვლინდა იქამდე უცნობი ლექსიკური მასალა (გვ. 20-21). მართლაც საინტერესო ჩანს ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორებიცაა, მაგალითად, კიბორი „კუბო“ (ლაზურ კილოებში ამ მნიშვნელობით საყოველთაოდ გავრცელებულია არაბულ-თურქული ნასესხობა თაბუთი), ხომა „ხმა“ (ლაზურ კილოებში ამ მნიშვნელობით საყოველთაოდ გავრცელებულია თურქული ნასესხობა სერსი; შდრ. მეგრ.: ხუმა/ხემა), ლინჯი „სპილენძი“ (დღეს ლაზურ კილოებში ამ მნიშვნელობით უკვე საყოველთაოდ გავრცელებულია თურქული ნასესხობა ბაქირი, შდრ. მეგრ.:

¹² „შვიდი წლის ბავშვი ვიყავი, მაგრამ ყველაფერი კი მახსოვს. ხოფიდან ჩარშამბამდე ზოგი ზღვით („ზღვიდან“), ზოგიც ისე („გარეთ“) ფეხით იმ გრძელ გზებზე მუჰაჯირობაში მიდიოდა და ცხადია, ჩემი დედა-მამაც იმათ შეუერთდა... ცხადია, სულ ამის გამოა, რომ მეოცე საუკუნეში გაუნათლებელი დავრჩი და [ერთი] სამი კლასის მეტი ვერ ვისწავლე („ნაკითხობა ვერ ავზიდე“).“

ლინჯი) და ა.შ. ლექსიკონის შემდგენლები ყურადღებას მართებულად ამახვილებენ ასევე იმაზეც, რომ საწყისი (სახელზმნა, მასდარი) მუჰაჯირთა შთამომავლებში სხვაგვარი ნორმით იწარმოება: **ტახვა** (შდრ. სხვა კილოთა **ოტახუ**) „ტეხვა“, **წილვა** (შდრ. სხვა კილოთა **ოწილუ**) „კრეფა“, **მოხთიმაფა** (შდრ. სხვა კილოთა **მოხთიმუ**) და მისთ. (გვ. 22). ჩვენი მხრივ, დავძენთ რომ ესენი ხოფური კილოს ჩხალური კილოკავის ფორმებია.

აქვე უნდა დავასახელოთ, აგრეთვე, რეჟისორ **ფუნდა ოზიურთ თორუნის** დოკუმენტური ფილმი **„ლაზები - 4000 წლოვანი ისტორია“** (*Lazlar - 4000 yıllık tarihi*), რომელიც თურქეთის ტელეეკრანებზე გამოვიდა 2007 წელს.¹³ მისი ქრონომეტრაჟი შეადგენს 1 საათსა და 49 წუთს. უნდა აღინიშნოს, რომ ფილმში ბევრი საკითხი ტენდენციურადაა გაშუქებული, მაგრამ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მუჰაჯირთა შთამომავლებთან ინტერვიუები რეჟისორს უშუალოდ ლაზურ დიალექტზე ჩაუწერია. მუჰაჯირობის ისტორიებს სულ ეთმობა 6 წუთი - 34:07-დან 40:07-მდე. ამ დროის განმავლობაში საუბრობენ **ჯენგიზ ჯენგიზი**, **ასიმ ერმიში**, **ილმაზ ოზიურთი**, **თურქან ოზიურთი**, **ფითნეთ ქარადენიზი**, **მუსა ულუთაში** და სხვა ლაზები, რომლებიც იხსენებენ ბებია-ბაბუებისაგან გაგონილ ამბებს 1877-1878 და 1915-1916 წლებში მიმდინარე მუჰაჯირობის შესახებ.

წარმოშობით ქართველი მკვლევრის - **მურათ ქასაბის** 2019 წ. გამოცემულ წიგნში **„93 წლის ომის ბათუმელი მუჰაჯირები“** (*“93 Harbi Batum Muhacirleri”*) გამოქვეყნებულია აქამდე უცნობი, ახლად მიკვლეული ცნობები 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს მუჰაჯირად წასული ლაზების შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ მაშინ მოსახლეობა საგრძნობლად შემცირდა ლაზეთის **ადმოსავლეთ ნაწილში**, სადაც უშუალოდ მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები. იმჟამინდელი ადმინისტრაციული დაყოფით, მთელი ეს მხარე შედიოდა **გონიო-ბათუმის სანჯაყში**, რომელიც მოიცავდა სულ 47 დასახლებას (როგორც **ლაზურს**, ისე - **ლივანურს/წიგალურს** და რამდენიმე **ქობულეთურსაც**): **აბუისლა** (Ab-ı Islah), **მაკრიალი** (Makriyal), **ზღვისპირა მაკრიალი** (Makriyal-Liman), **მაკრიალში ჩასახლებული ბანაკი** (Makriyal Köyünde Göçebe Ekrad), **გონიო** (Gönye Kalesi), **სარფი** (Sarp), **ბელლევანი** (Beğlevan), **სკურჩე** (Sokorçe), **სუჯუნა** (Sucuna), **ცოცხოზა** (Soshoba), **ლუჰიე/ნეზია** (Luhye //Neziya), **ოხორდია** (Ohordiya), **გიდრევეთი** (Kidrevet), **ბორჩა** (Borçka), **წითურეთი** (Zituret), **არჩვეთი** (Arçvet), **ჯვარეთი** (Cuvaret), **კატაფხია** (Kataphia), **ბერძნაული** (Beznavl), **მურკივეთი** (Murkivet), **ქვედა მარადიდი** (Maradit-i Süfla), **მირვეთი** (Mirvet), **ზედა მარადიდი** (Maradit-i Ulya), **მახო** (Maho), **თხირნალი ვანბულუ** (Tihirnalı Vanbulu), **სიმონეთი** (simonet), **ზღვისპირა ბათუმი** (Liman Batum), **ყოროლისთავი** (Korolistav), **აგარა** (Agara), **ახალშენი** (Ahalşen), **შუა (ცენტრალური) ბათუმი** (Orta Batum), **მახინჯაური** (Mahincauri), **სარაი** (Saray), **ახალშენი** (Ahalşen), **ერგეს თოფჩიოღლის უბანი** (Erge Nahiyesi Topcuoglu), **კიბე** (Gibe), **კაპნისთავი** (kapnistav), **ერგე** (Erge), **ხელვაჩაური** (Helvaçauri), **ჯოჭო** (Coco), **კახაბერის მიწებზე ჩასახლებული ბანაკი** (Kahaber Arazisinde Göçebe Ekrad), **ჩაქვის ხალვაშთა უბანი** (Halvaş Mahallesi Çakvi), **ხალა** (Hala), **აჭყვა** (Açkva), **გორგაძე** (Gorgadze), **ჩაქვისთავი** (Çakvistav), **შუა ჩაქვი** (Orta Çakvi) (ქასაბი, 2019:52-57).

მურათ ქასაბის მიერ მოძიებული ცნობები ლაზ მუჰაჯირთა შესახებ მრავალ საინტერესო და აქამდე უცნობ ინფორმაციას გვაწვდის. კერძოდ: იმ დროსაც ისევე, როგორც ამჟამად, სოფლების: **აბუისლა**, **მაკრიალი**, **ზღვისპირა მაკრიალი** (ლაზ. ნოდედი), **გონიო**, **სარფი**, **ბელლევანი**, **სკურჩე**,

¹³ ფილმი განთავსებულია იუთუბზეც: <https://www.youtube.com/watch?v=rxCypXVl6iM> - დამოწმებულია 01.06.19

სუჯუნა, ცოცხოზა, ოხორდია, გიდრევეთი... მოსახლეობა მეტყველებდა ხოფურ-ჩხალურ კილოზე, ხოლო სოფლებში: ბორჩხა, წითურეთი, არჩვეთი, ჯვარეთი, კატაფხია, ბერძნაული, მურკივეთი, ქვედა მარადიდი, მირვეთი... თანაბრად გავრცელებული იყო როგორც ხოფურ-ჩხალური, ისე - ლივანური//ნიგალური კილოც, რადგან იქ გვერდიგვერდ სახლობდა ქართველთა ორი ლოკალური ჯგუფი - ლაზები და ლივანელები//ნიგალელები (ქასაბი, 2019:125-126); მაშასადამე, ლაზური (კერძოდ - ხოფურ-ჩხალური) და ლივანური//ნიგალური სამეტყველო კოდების შერევა ხსენებულ სოფლებში იმთავითვე მიმდინარეობდა და მუჰაჯირად წასვლის შემდეგაც არ შეწყვეტილა, რაკი ახალ ადგილებშიც, გონიო-ბათუმის სანჯაყიდან გადასახლებული ლაზები და ლივანელები (ანუ ნიგალელები) კომპაქტურად, ერთად დასახლდნენ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აქამდე, გამოქვეყნებული ცნობებისა თუ გამოკვლევების თანახმად, ქართულ სამეცნიერო წრეებში დამკვიდრებული იყო თვალსაზრისი, თითქოს სოფელ სარფის (იგულისხმება როგორც გაღმა, ისე გამოღმა ნაწილი) მოსახლეობა 1877-1878 წწ. ომის მერე მუჰაჯირად არ წასულა. მურათ ქასაბმა მოიძია და გამოაქვეყნა რიგი დოკუმენტები, რომლებიც სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს: ოსმალეთში გადასულ მუჰაჯირთა სიებში ჩაწერილნი არიან ორივე სარფის მკვიდრი ყველა გვარის წარმომადგენლები, მაგალითად: **ბათალოღლი** (ჩიქოვანი), **ვანლიოღლი** (ვანლიში // ვანიძე // ვანიშორ), **კარახუსეინოღლი** (კახიძე), **ქაოსოღლი** (ქორიძე), **ჩაქიროღლი** (ნარაკიძე), **დელიმუსტავაოღლი** (დელიბაშ), **მემიშოღლი** (მემიშიში), **თანთუოღლი** (თანდილავა), **თუზჯოღლი** (დოლიძე // თუზჯუ) და ა.შ. (ქასაბი, 2019:52). მათი უმრავლესობა 1880 წელს, დუზჯესა და ადაფაზარში ჩაუსახლებიათ (იქვე, გვ. 265).

ღირსსაცნობია ასევე, **მაკრიალსა** და **კახაბერში** მომთაბარე ქურთების ბანაკების (როგორც მათ ოსმალურ წყაროებში ეწოდება - **ექრადების**) დაფიქსირება. აღმოსავლეთ ლაზეთის რუსთა ხელში გადასვლის შემდეგ, იქაურ ქურთთა უმეტესობა 1878 წელსვე, ოსმალურ ჯარს გაჰყვა, რამდენადაც იმხანად ისინი ოსმალეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების განსაკუთრებული ქვედანაყოფების - **ბაშიბუზუკების** (თურქ. **Başı Bözük** - თავზეხელაღებული) შემადგენლობაში იყვნენ. მაკრიალსა და კახაბერში დარჩა ქურთების მცირე ნაწილი, რომელიც შემდგომში - რუსული ხელისუფლების დროს - ძირითადად, ადგილობრივ ლაზებს შეერია. ამჟამად, **მაკრიალსა** (დღეს ოფიციალურად ეწოდება **Kemalpaşa ქემალფაშა**) და **გაღმა სარფს (Sarp)** შორის მდებარეობს პატარა სოფელი **ოსმანიე (Osmaniye)**, სადაც ენობრივად უკვე ასიმილირებული (გათურქებული) ქურთები სახლობენ. 1944 წლამდე, საქართველოში - აჭარის ასსრ-ის ტერიტორიაზე, ქურთები სახლობდნენ ასევე, **კახაბერსა** და **გონიოშიც**, თუმცა საბჭოთა ხელისუფლებამ შემდეგ ისინი ყაზახეთსა და ციმბირში გაასახლა.

მურათ ქასაბის გამოკვლევის თანახმად, მუჰაჯირობა გონიო-ბათუმის სანჯაყში დაიწყო 1880 წლის იანვარში და გაგრძელდა 1885 წლის თებერვლამდე. ამ დროის განმავლობაში ეს მხარე 10000-ზე მეტმა კაცმა დატოვა. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა 1880 წლის იანვრიდან ივნისამდე და 1882 წლის მარტიდან აგვისტომდე. მუჰაჯირთა პირველი ნაკადი ფეხით ან ფელუკებით გადავიდა ბათუმიდან ხოფასა და არქაბში, თუმცაღა ოსმალურმა ხელისუფლებამ ისინი იქ არ გააჩერა და დიდი წყალწყვის გემებით გადაიყვანა რუსეთის საზღვრიდან მოშორებით - ჩრდილო-დასავლეთ თურქეთში. ასე მოუწია ყველა იმ მუჰაჯირს, რომელიც უფრო მოგვიანებით გადავიდა „რუსეთის ლაზისტანიდან“ ოსმალეთში. პირადად

დიდი ვეზირის გადაწყვეტილებით, დუზჯეში, საქარისა და ადაფაზარში ჩაასახლეს გონიო-ბათუმის სანჯაყის ზღვისპირეთიდან წამოსული მუჰაჯირები, ხოლო იზმირში, იზმითსა და სტამბოლის ზოგიერთ გარეუბანში - მთიანი მხარიდან წამოსულები (ქასაბი, 2019: 125-126).

3. ზემოაჭარელ მუჰაჯირთა მეტყველებისა (დახასიათება, სამეტყველო კოდების შერევა...) და ისტორიის შესახებ გამოქვეყნებული მონოგრაფიების, სამეცნიერო სტატიების, ლექსიკონებისა და ტექსტების ანალიზი

ზემო აჭარიდან წასულ მუჰაჯირთა შთამომავლები თანამედროვე თურქეთში ძირითადად წარმოდგენილნი არიან დუზჯე-ადაფაზარისა და ბურსა-ინეგოლის რეგიონებში, ასევე - სამსუნსა და სინოპში; შედარებით ცოტანი არიან ფაცასა და ორდუში. მათი წინაპრები იქ ჩავიდნენ 1877-1882 წლებში, ანუ რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდგომ. I მსოფლიო ომის დროს კი ზემო აჭარაში მუჰაჯირობას დიდი მასშტაბები აღარ ჰქონია - იმხანად ამ მხარეში საერთოდ არ მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები.

ზემოაჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლები დღემდე ინარჩუნებენ მშობლიურ ენას და მეტ-ნაკლებად ყველამ იცის, თუ რომელი სოფლიდანაა წამოსული მისი წინაპარი. ახსოვთ აგრეთვე, ძველი გვარებიც (ან ოსმალეთის დროინდელი „ლალუბები“ - **-ოღლი** ფორმანტით დაბოლოებული მეტგვარები). გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან - როცა თურქეთთან საზღვარი გაიხსნა, - ბევრმა მათგანმა ინახულა საქართველო, მოძებნა აქ მოგვარე-ნათესავები და ზოგადად, მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა თანამემამულეებთან. ასევე, ახალგაზრდები დაინტერესდნენ ქართული სამწიგნობრო ენის შესწავლით, წინაპრების მემკვიდრეობით - ამჟამად, მათგან საკმაოდ ბევრი უკვე ფლობს ქართულ სამწიგნობრო ენას, სწავლობს ან მუშაობს საქართველოში და ა.შ.

ზემოაჭარელ მუჰაჯირთა შესახებ აქამდე გამოქვეყნებული მონოგრაფიებიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ **შანშე მეგრელიძის** ნაშრომი **„აჭარის წარსულიდან (მუჰაჯირობა 1878-1882 წწ.)“**, რომელიც თბილისში გამოიცა 1964 წელს. ეს არის ქართულ ენაზე შესრულებული პირველი მეცნიერული პუბლიკაცია, რომელიც მუჰაჯირობის თემას შეეხება, თუმცაღა ავტორი ზედმეტი ტენდენციურობით აშუქებს ბევრ საკითხს - მაგალითად, წერს, რომ აჭარიდან (ზოგადად, სამხრეთ საქართველოდან) ქართველ მუსლიმანთა გასახლებით უპირატესად დაინტერესებული იყო ოსმალეთი, ხოლო რუსეთი ცდილობდა, ხელი შეეშალა ამ პროცესისთვის. რამდენადაც შანშე მეგრელიძის ნაშრომი საბჭოთა პერიოდშია გამოცემული, ამგვარი ტენდენცია გასაკვირიც არაა. ასე რომ, დღეს ეს წიგნი მხოლოდ ისტორიულ ინტერესს იწვევს.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ასევე, **შუშანა ფუტყარაძის** ორტომიანი მონოგრაფია **„ჩვენებურების ქართული“**, რომლის პირველი ტომი გამოიცა 1993 წელს ბათუმში. მისი მოცულობაა 728 გვერდი. ამ წიგნში, 21-161 გვერდებზე დაბეჭდილია მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების ნიმუშები, რომლებიც ავტორს დასავლეთ თურქეთში - უმეტესად, ბურსა-ინეგოლის და დუზჯე-ადაფაზარის ილემში ჩაუწერია. მუჰაჯირების შთამომავლებისაგან ჩაწერილ ტექსტებს წინ უძღვის ნარკვევი **„მუჰაჯირი ქართველები (ჩვენებურები)“**, რომელშიც ავტორი წერს: „ოსმალეთის მთავრობამ საქართველოდან (ბათუმის და ყარსის ოლქები) ნახევარ მილიონამდე (სულ მცირე) ქართველი მიიღო. 1879 წლის ბოლოს რუსეთის მთავრობამ,

პროგრესული ძალების ზემოქმედებით, გამოსცა ბრძანება მუჰაჯირთა უკან დაბრუნების შესახებ. მობრუნება წლების განმავლობაში ხდებოდა, მაგრამ თითო-ოროლა თუ ახერხებდა ამას. უსახსრობის გამო ბევრი მსურველი ადგილზე რჩებოდა. ოფიციალური ცნობით, დაბრუნებულა 15 ათასი აფხაზი. დაბრუნებული ქართველების რაოდენობის შესახებ კი ასეთი ცნობა არ მოგვეპოვება“ (გვ.16). განსაკუთრებულ ყურადღებას კი იქცევს ის ტექსტები, რომლებშიც მთქმელები მუჰაჯირობის ისტორიებს ჰყვებიან.

მაგალითად, ინტერესს იწვევს **ოსმან ახისხალოღლი-გოჩიტისგან** ჩაწერილი ტექსტი (63-67 გვ.). მთქმელის ცნობით, „თურქეთში ბევრი ქართულია. სხუადასხუა დროს არიან წამოსული აქეთ. ინეგოლი ბურსის ვილაეთში ერთი რაიონია. ინეგოლის რაიონში, ქაზაში თვრამეტი გურჯი სოფელია. მე ჩამოვთლი ახლა: 1. ხასან ფაშა - აქ ჩურუქსუელები (ქობულეთელები) ცხოვრობენ. დერეჩეთი - ჩაქველების არი; 3. ჰაირიე (ხეირიე) - მაჭიხლელებისა არი. 4. ყეზელი - ღორჯომლები არიან; 5. ჰილმიე - აქ არიან ჭვანელები, დღვანელები, დანდალველები; 6. ფაზარალანი - აქ ჭვანელები არიან; 7. ბახჩაყაია - ტბეთი, გოგამიები, ლომანავრი; 8. თუფეჩიქონაქი - ლომანავრელები და ოლადავრელები არიან; 9. მეზითი - კვიახიძეები, გოგნიავრელები, კარაპეტლები, ნენეველები და დღვანელები არიან; 10. გუნექესტანა - ჭვანელები, კვიახიძეები, ოლადავრელები, კოკოჩოღლები; 11. ყარაჯა ყაია - 10 კუამლი მაწყვალთიდან არიან, დღვანელები არიან.... 12. დენი ქოი (ახალი სოფელი) - ჯაბნიძეები არიან, ჟვავირეკიები (ლაღაბია მათი); 13. ყარაყადი - მესხები არიან ენჩული; 14. ელმაჩადრი - აქა ორი მეჰელეა, ერთი მესხებისა არი, მიერე - ფურტეველებისა; 15. ბათახლი - ღორჯუმლები არიან; 16. გულბახჩა - ტბეთელები და ღორჯომლები არიან; 17. ფუნდულლი - სამი მეჰელეა აქა. ცხოვრობენ კოპიოღლები, ჩანჩხალველები, უჩამფელები, დღვანელები, ხულელები; 18. დენიჯა - ბევრი არიან ბაკუელები“ (გვ. 63-64).

საინტერესოა, აგრეთვე 95 წლის ინეგოლელი **მუნთაჰა ბაიკოზოღლი-თავდგირიძისგან** ჩაწერილი ტექსტი „**მუჰაჯირის ნამშობი**“ (96-106 გვ.). მთქმელი ყვება ამბებს, რომელთა მომსწრე თავადვეა (ის იმ დროს 10-12 წლის ყოფილა) და ასახელებს თარიღსაც - ტექსტში გადმოცემულია 1904 წლის მუჰაჯირობის მოვლენები. ზემო აჭარიდან მუჰაჯირად მიმავალნი ბათუმში ურმებით ჩამოსულან, ხოლო იქ კი მცირე წყალწყვის გემში („ყაიღში“) ჩამსხდარან და ოსმალეთში წასულან. როგორც ჩანს, პირდაპირ ინეგოლში დასახლებულან (იმ დროს იქ უკვე ცხოვრობდნენ 1877-1878 წწ. ომის შემდეგ გადასახლებული ქართველები). 15 წლის შემდეგ - 1919 წელს, მუჰაჯირების სამოსახლო ტერიტორიები ბერძნულ საოკუპაციო ზონაში მოხვდა: „სამ წელწად დარჩა ძუნანმა... ხან ტყეში გეჰქეცით, ხან ღრეში... მემრე წამეისხრიკია ქემაღ ფაშამ. იმას უკანია ძუნანობა არ არი. დულბირით ვერ გეხედევდით ტყიდან, ისე გვეშინიოდა“ (გვ. 97).

შუშანა ფუტკარადის ხსენებულ ნაშრომში ტექსტებს თან ერთვის **ლექსიკონი** (371-694 გვ.), რომელშიც განმარტებულია არამართო ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების, არამედ ზოგადად - თურქეთის ქართველობის დიალექტებში ხმარებული განსხვავებული სიტყვები (საკუთარი თუ ნასესხები).

შუშანა ფუტკარადის „**ჩვენებურების ქართულის**“ მეორე ტომი გამოიცა 2016 წელს ბათუმშივე. მისი საერთო მოცულობაა 662 გვ. შედგება რვა თავისაგან, ერთვის წინასიტყვაობა, შესავალი და დასკვნები. მეშვიდე და მერვე თავებში (გვ.307-400) ვრცლადაა განხილული მუჰაჯირ ქართველთა მეტყველების გრამატიკული თავისებურებანი. აქედან მერვე თავი შეეხება

უშუალოდ აჭარელი მუჰაჯირების მეტყველებას. საყურადღებოა ავტორის ამგვარი თვალსაზრისი: „მუჰაჯირთა მეტყველებაზე თურქული ენის გავლენის შედეგი განსაკუთრებით შესამჩნევია სინტაქსისა და ლექსიკის სფეროში... აჭარულ კილოზე აღმოცენებულ მუჰაჯირთა ქართულზე დაკვირვებით ნათელი ხდება, რომ უცხო ენობრივ გარემოში მოქცეულმა მეტყველებამ დღემდე კარგად შეინახა თავისი ძირითადი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა. მუჰაჯირთა ქართული საუკუნენახევრის წინანდელი აჭარული კილოს ცოცხალი სახეა. მისი საფუძვლიანი შესწავლა ბევრ საინტერესოს შესძენს ქართულ ენათმეცნიერებას ისტორიული დიალექტოლოგიის სფეროში.“ (გვ.402-403).

აქვე უნდა დავასახელოთ აგრეთვე, ინგა ღუტიძის ნაშრომი „ქართველები თურქეთში - ენობრივი ვითარება“, რომელიც გამოიცა თბილისში 2016 წელს. წიგნის მოცულობაა 338 გვერდი და შედგება რვა თავისაგან (თავებს აქვს მხოლოდ სათაურები და არა ნუმერაცია). გარდა ამისა, ერთვის შესავალი, რეზიუმე ინგლ. ენაზე, გამოყენებული ლიტ-რის სია, მთხრობელებისა და ინფორმატორების ჩამონათვალი და საძიებელი.

ინგა ღუტიძის ხსენებულ ნაშრომში მოცემულია მეტად საყურადღებო ცნობები ზოგადად, თურქეთის ქართველობის შესახებ. უშუალოდ აჭარელ მუჰაჯირთა შესახებ ავტორი საუბრობს ამ წიგნის ბოლო სამ თავში: „ენობრივი ვითარება მარმარილოს ზღვის რეგიონში“, „ლექსიკის სესხების ერთი თავისებურების შესახებ თურქეთის ქართველებში“ და „ეთნიკური ენის შენარჩუნების ფაქტორები“.

ზოგადად, ინგა ღუტიძის ნაშრომი სოციოლინგვისტური ხასიათისა უფროა, თუმცა მასში თურქეთელ ქართველთა (და არა მხოლოდ მუჰაჯირების შთამომავალთა) მეტყველების ზოგადი თავისებურებებიცაა განხილული. მოცემულია ასევე თურქეთის ქართველთა დასახლებების სიები და ა.შ.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია პროფესორ მალხაზ ჩოხარაძის მონოგრაფია „ქართული ენის გეოგრაფია თურქეთში“, რომლის პირველი წიგნი 2016 წელს გამოიცა ბათუმში. მისი მოცულობა 136 გვერდია და შეეხება მარმარილოს ზღვის რეგიონს (ჩრდილო-დასავლეთ თურქეთს). შედგება ორი ნაწილისაგან (ნაწილი პირველი: ქართველთა მუჰაჯირობა - ეპოქები და თაობები, ნაწილი მეორე: ქართველთა დასახლებები და ქართული ენის გეოგრაფია მარმარილოს ზღვის რეგიონში); თან ერთვის შესავალი და ბოლოთქმა, ასევე - დამოწმებული ლიტერატურის სია და მარმარილოს რეგიონის ქართული სოფლების ჩამონათვალი (გვ. 130-134). ყოველ სოფელთან აღნიშნულია, თუ რომელი კუთხიდან წასული მუჰაჯირების შთამომავლები ცხოვრობენ იქ. მხოლოდ ქართველებით დასახლებული სოფლები ავტორს ვარსკვლავით აქვს აღნიშნული, შერეული სოფლები კი, სადაც ქართველების გარდა, სხვებიც ცხოვრობენ - უვარსკვლავოდ. წიგნში მოცემულია ასევე რუკებიც, რომლებზეც საკვლევ რეგიონში ქართველთა განსახლებაა ნაჩვენები.

პროფ. მალხაზ ჩოხარაძის წიგნიდან ვგებულობთ, რომ მარმარილოს რეგიონში უმეტესად, აჭარიდან და კლარჯეთიდან წამოსული მუჰაჯირების შთამომავლები სახლობენ. თითო-ოროლა სოფელში სახლობენ ასევე, შავშეთიდან და ტაოდან წამოსულთა შთამომავლებიც. საინტერესოა ასევე, ავტორის შემდეგი მიგნებაც: „მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის მკრთალად ჩანს, აგრეთვე, ფენა იმ ქართველ მუსლიმთა შთამომავლებისა, რომლებიც მე-19 საუკუნის 80-იან წლებში აჭარიდან ნიგალში გადავიდნენ და გადასახლებულთა ნაფუძარზე დამკვიდრდნენ, ხოლო

შემდეგ, ათიან თუ ოციან წლებში მეოცე საუკუნისა, თურქეთში გადასახლდნენ“ (გვ. 56, ხაზგასმა ჩემია - მ.ლ.). უნდა ითქვას, რომ ამ ხალხის შესახებ სხვა ავტორები თითქმის არაფერს წერენ.

ასევე საგანგებოდ მოვიხსენიებთ პროფესორ როლანდ თოფჩიშვილის ნაშრომს „ისტორიულ-ეთნოგრაფიული სამხრეთი საქართველო და ქართველები თურქეთში“, რომელიც 2017 წელს გამოიცა თბილისში. მისი მოცულობაა 214 გვ. შედგება შესავალისა და ოცი თავისაგან. თავებს არ აქვთ ნუმერაცია. მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლებს შეეხება შემდეგი თავები: „ქართველთა განსახლების არეალი შავი ზღვის სამხრეთში“, „შავი ზღვისპირეთის რეგიონში მცხოვრებ ქართველთა ეთნიკური ცნობიერების პრობლემები“, „შავი ზღვის რეგიონში განსახლებულ ქართველთა გვარები“, „ქართველთა განსახლების არეალი მარმარილოს ზღვის რეგიონში“, „ქართველთა ეთნიკური იდენტობის პრობლემები მარმარილოს ზღვის რეგიონში“, „მარმარილოს რეგიონში მცხოვრებთა ქართული გვარები“, „მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების ენის, რელიგიისა და ეთნიკური ცნობიერების ურთიერთმიმართების პრობლემა“.

როგორც ამ თავების სათაურებიდანაც ჩანს, პროფ. როლანდ თოფჩიშვილს თავის ნაშრომში საკმაოდ დეტალურად აქვს განხილული თურქეთის ქართველობის (და მათ შორის, რა თქმა უნდა - მუჰაჯირთა შთამომავლების) ეთნოლოგიური და სოციალური მახასიათებლები. საყურადღებოა, რომ ავტორის აზრით, „მუჰაჯირობის მიზეზი იყო არა მხოლოდ რელიგია, არამედ ეკონომიკური და დემოგრაფიული ფაქტორები. რეგიონი იყო გადამეტსახლებული. სახნავ-სათესი მიწის ნაკლებობამ და იმ ფაქტმა, რომ თურქეთის ხელისუფლება მათ დიდი რაოდენობით მიწას ურიგებდა, მიგრაციას მასობრივი ხასიათი მისცა“ (გვ. 134) იქვე, როლანდ თოფჩიშვილი იმოწმებს რუს ავტორს - ვ. ლისოვსკის და მასზე დაყრდნობით დასძენს, რომ მუჰაჯირობა ნაკლებად მოხდა სახნავი მიწებით მდიდარი მხარეებიდან.

ასევე, როლანდ თოფჩიშვილი, ერთ-ერთი თავისი მთქმელის - ზეჟი ოსმანაღაოღლუს მიერ მიწოდებულ ცნობაზე დაყრდნობით წერს, რომ აჭარიდან გადმოსული მუჰაჯირი ქართველები ხოფაშიც ცხოვრობენ. ზეჟი ოსმანაღაოღლუს სიტყვით, „სოფელი არ ვიცი, მხოლოდ ბათუმი და აჭარა ვიცი. ოსმალეთ-რუსეთის ომის შემდეგ წამოსულან. მე ხოფიდან ვარ. ბევრნი ვართ, ხოფის ცენტრში ვცხოვრობთ. ხოფიდან ბაბუა სამსუნში გადმოსულა, იმიტომ, რომ მასწავლებლები და სახელმწიფო მოხელეები იყვნენ“.

აღსანიშნავია, რომ ოსმალურ წყაროებში შემონახული ცნობები ქართველი მთქმელის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ირიბად ადასტურებს; მაგალითად, ცნობილი თურქი ისტორიკოსის - მუამმერ დემირელის ვრცელი სტატიიდან „ართვინიდან და ბათუმიდან გადასახლებულები (1877-1878 წწ. ოსმალეთ-რუსეთის ომის შემდეგ)“ (Artvin ve Batum göçmenleri [1877-1878 osmanlı-rus savaşı'ndan sonra]), რომელიც ზემოთ უკვე განვიხილეთ, ვგებულობთ, რომ 1877-1878 წწ. ომის შემდეგ, „ართვინელი და ბათუმელი ლტოლვილები გადაყვანილი იქნენ ხოფის, არქაბისა თუ სხვა ახლომდებარე ნავსადგურებში და ხომალდებით გაგზავნილ იქნენ სტამბოლსა და ასევე იმ ადგილებში, სადაც [თავად] ისურვებდნენ.“¹⁴ (დემირელი, 2009:1128).

ზემო აჭარიდან წასული მუჰაჯირების მეტყველების შესახებ ფრიად საყურადღებო ცნობებს შეიცავს ერთ-ერთი მათგანის - ქ. დუზჯეს მკვიდრის, ფევზი ჩელების სადოქტორო დისერტაცია

¹⁴ „Artvin ve Batum göçmenleri Hopa, Arhavi ve diğer takip eden limanlardan vapurlarla İstanbul veya iskân edilecekleri bölgelere sevk edilmişlerdir. Göçmenler, Karadeniz sahili boyunca uygun yerlerde yerleştirilmişlerdir.“

„დუზჯეს მხარეში (თურქეთის რესპუბლიკა) მცხოვრები ქართველების მეტყველების თავისებურებანი“, რომელიც დაცულ იქნა 2018 წლის 9 ივლისს, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (ხელმძღვანელი - პროფ. **ტარიელ ფუტყარაძე**). ნაშრომი მოიცავს 202 გვერდს და შედგება 4 თავისაგან. ერთვის ასევე ანოტაცია, შესავალი, დანართი (დიალექტური ტექსტები) და დამოწმებული ლიტერატურის სია.

ზოგადად, **ფევი ჩელები** მუჰაჯირ ქართველთა შთამომავალთაგან პირველია, ვინც ქართულ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში დაიცვა დისერტაცია მუჰაჯირ ქართველთა მეტყველების თავისებურებათა შესახებ. სადისერტაციო ნაშრომში საკმაოდ ვრცელადაა განხილული დუზჯელ ქართველთა მეტყველების ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებანი, ანთროპონიმისა და პატრონიმის, ზეპირსიტყვიერების ენა და აგრეთვე, - რაც ყველაზე მთავარია - ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის ძირითადი მახასიათებლები, რასაც საკვლევი საკითხის შესახებ აქამდე გამოცემულ ნაშრომებში თითქმის არასოდეს მიქცევია ყურადღება. დოკუმენტური მასალა, რომელიც ნაშრომს ერთვის **დანართის** სახით (გვ. 169-202), ჩაწერილია უშუალოდ ავტორის მიერ ქ. დუზჯესა და მის სოფლებში.

წარმოშობით ქართველ მკვლევარს - **მურათ ქასაბს** 2019 წ. გამოცემულ წიგნში „**93 წლის ომის ბათუმელი მუჰაჯირები**“ (**“93 Harbi Batum Muhacirleri”**) 782-815 გვერდებზე, გამოქვეყნებული აქვს ზემოაქარელ მუჰაჯირთა ვრცელი სია, რომელშიც აღრიცხულია დაახლოებით ათასამდე კაცი. ოსმალური პერიოდის გვარები (ლალუბები), იშვიათად - ქართული გვარებიც (გუგუნავა, ასკათიძე, ფუტყარაძე...) უწერიათ ოჯახთა უფროსებს, დანარჩენი სახლეულები (ცოლები, შვილები, რძლები) კი მხოლოდ სახელებით არიან წარმოდგენილნი. სია შედგენილია **ქურთ ისმაილ ფაშას** ბრძანებით, **1880 (ჰიჯრით 1300) წლის 2 მარტს** და მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს. ამ ხალხის დიდი ნაწილი დუზჯეს, ადაფაზარისა და საქარიას მიწებზე დაუსახლებიათ, რომლებიც იმხანად ძალზე მეჩხრად იყო დასახლებული. ქართველების გარდა, იქ ჩაუსახლებიათ აგრეთვე ბულგარეთიდან წამოსული თურქებიც.

4. ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველებისა (დახასიათება, სამეტყველო კოდების შერევა...) ისტორიის შესახებ გამოქვეყნებული მონოგრაფიების, სამეცნიერო სტატიების, ლექსიკონებისა და ტექსტების ანალიზი

ქობულეთიდან წასული მუჰაჯირების შთამომავლები დღესდღეობით თავმოყრილნი არიან, ძირითადად, თურქეთის შუა შავიზღვისპირეთში - რიზეს ილის ფაზარის (**ათინას**) ილჩეს სოფ. **ჰამიდიედან** (ლაზურად - **ესქი თრაბუზანი**) მოყოლებული, **უნიე-სამსუნ-ორდუ-სინოპამდე**. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანნი არიან ორდუს ილის ფაცას ილჩეში - სახლობენ როგორც თვით ქ. ფაცაში, ისე - სოფლებში. უფრო მცირე რაოდენობით არიან აგრეთვე, დუზჯე-ადაფაზარსა და ბურსა-ინეგოლშიც. შედარებით უკეთესად აქვთ შენარჩუნებული მშობლიური მეტყველება (ქობულეთური კილოკავი). ასევე, ბევრ მათგანს საქართველოსთანაც აქვს კავშირი. ქობულეთელი მუჰაჯირების შთამომავალთა უფროსი თაობა საკუთარი თავის აღსანიშნავად არც თუ იშვიათად იყენებს თურქულიდან ნასესხებ თემონიმს **ჩურუქსული // ჩურუქსელი** (თურქ. **Çürüksu** „ქობულეთი“, **Çürüksulu** „ქობულეთელი“), თუმცა მათთვის აგრეთვე კარგადაა ნაცნობი შესაბამისი ქართული თემონიმი **ქობულეთელი**, რომელიც ახალგაზრდა თაობის მეტყველებაში უფრო მეტად გავრცელებულია.

1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ქობულეთში დაწყებული მუჰაჯირობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები მოიპოვება ზაქარია ჭიჭინაძის ცნობილ ნაშრომში „ქართველ მაჰმადიანთ დიდი გადასახლება ოსმალეთში. მუჰაჯირი-ემიგრაცია“ (ტფილისი, 1912); კერძოდ, იქ ნათქვამია: „ყველაზედ მწვავე გადასახლება ქობულეთში 1877 წ. დაიწყო. ამ დროთა გადასახლებულთ შესახებ იტყვიან სხვა და სხვა ცნობებს. ერთნი იტყოდნენ, რომ ქობულეთიდან ოსმალში გადასახლდა 2500 მოსახლეო ანუ 12 000 სული ორივე სქესისო. მეორენი ამბობდნენ, რომ 5000 მოსახლე წავიდაო. ხოლო მათში რამდენი რიცხვი იყო, ამისი კი არა იცოდნენ რა. მესამენი იტყოდნენ, რომ ალი ფაშამ ქობულეთიდან გადასახლა 7000 მოსახლეო.“ ამასთან, ზაქარია ჭიჭინაძესვე (გვ. 91-92) მოჰყავს ქობულეთის (და დღევანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის) იმ სოფლების სიაც, რომელთა მკვიდრნიც მუჰაჯირად წავიდნენ. ეს მონაცემები განსაკუთრებით საყურადღებოა და ამიტომ მათ ჩვენც აქვე წარმოვადგენთ:

„სოფ ქაქუთი, გადასახლდა . . 30 კომ.
 სოფ ლეღვა, გადასახლდა . . 25 კომ.
 სოფ. წყავრუკა, გადასახლდა . 50 კომ.
 სოფ . კუხე, გადასახლდა . . 40 კომ.
 სოფ. ჩეხედენი, გადასახლდა . . 30 კომ.
 სოფ. აჭყვისთავი, გადასახლდა . 30 კომ.
 სოფ. ზენეთი, გადასახლდა . . 40 კომ.
 სოფ. ალამზარი, გადასახლდა . . 100 კომ.
 სოფ. გვარა, გადასახლდა . . 30 კომ.
 სოფ. ხუც უზანი, გადასახლდა . . 50 კომ.
 დაბა ძველ-ქობულეთი გადას. . 40 კომ.
 სოფ. კონდიდი, გადასახლდა . . 20 კომ.
 სოფ. კოხი, გადასახლდა . . 30 კომ.
 სოფ. კვირიკე, გადასახლდა . . 137 კომ.
 სოფ. დაგვა, გადასახლდა . . 30 კომ.
 სოფ. სამება გადასახლდა . . . 20 კომ.
 სოფ. ჭახათი, გადასახლდა . . 10 კომ.
 სოფი კეჭიეთი, გადასახლდა . 20 კომ.
 სოფ. ვარჯანული, გადასახლდა. . 15 კომ.
 სოფ. ტყემაკრავი, გადასახლდა . 10 კომ.
 სოფ. ცხემუანი, გადასახლდა . 10 კომ.
 სოფ კობალაური, გადასახლდა . 40 კომ.
 სოფ. ჩურუქსუდამ, გადასახლდა . 80 კომ.
 სოფ. ზარა ბოსელი, გადასახლდა . 25 კომ.
 სოფ. დიდი ვაკე, გადასახლდა . 40 კომ.
 სოფ ზემო ხინო, გადასახლდა . 40 კომ.
 სოფ. ჩაქვა, გადასახლდა . . 13 კომ.
 სოფ. ხალა, გადასახლდა . . 40 კომ.
 სოფ. ჩაქვის თავი, გადასახლდა . 40 კომ.
 სოფ. გორგამნეები, გადასახლდა . 20 კომ.

სოფ. მახინჯაური, გადასახლდა . 40 კომ.

სოფ. ორთო ბათუმი, გადასახლდა . 15 კომ.

სოფ. ყოროლის თავი, გადასახლდა . 25 კომ.

სოფ. აგარა, გადასახლდა . . 14 კომ.

სოფ. ახალ შენი, გადასახლდა . 20 კომ.

სოფ. ხალვაშნები, გადასახლდა . 40 კომ.“

ხსენებული მონაცემების კომენტარებისას, ზაქარია ჭიჭინაძე საგანგებოდ აღნიშნავს: „აქ არ ვახსენეთ ზოგი ერთის სოფლები, სადაც დღეს სულ აღარავინ სცხოვრობს, მთელი სოფელი დაიცალა და გადასახლდა. სოფელში მოსახლეთა სახლები ტყის ნადირის თავ-შესაფარად გადაიქცა. ასეთ სოფლების რიცხვიც დიდი არის. ასეთი იყო მაგალითებზე სოფ. კვირიკე, საიდანაც მთლად წავიდა ხალხი. სოფელი სულ ცარიელი დარჩა“ (გვ. 92). მისივე თქმით, ქობულეთიდან ხალხის ოსმალეთში გადასახლების მთავარი მესვეურები ყოფილან ალი-ფაშა თავდგირიძე და ყემპერ-ალა ფაში ოღლი ჩივაძე (გვ. 109).

ქართულ სამეცნიერო ველში ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველების ნიმუშები პირველად შემოიტანა პროფ. შუშანა ფუტყარაძემ - მის ცნობილ ნაშრომში „ჩვენებურების ქართული“ (წიგნი პირველი, ბათუმი, 1993) 21-27 გვერდებზე გამოქვეყნებულია ინეგოლელი დურსუნ და ფატყუმე ოზდილებისგან (გოგიტიძეებისგან), 118-121 გვერდებზე კი - ქალაქ ფაცაში ნიაზ კაკალოღლისა (კაკალაძისა) და რეჯებალი კენჭოღლისგან (კენჭოშვილისგან) ჩაწერილი მასალა. მოცულობით ის არც ისე დიდია, თუმცა ძალიან საინტერესოა - მაგალითად, ნიაზ კაკალოღლისა და რეჯებალი კენჭოღლისგან ჩაწერილ ტექსტში ჩამოთვლილია ნათესაობის ტერმინები: დინეი, ბაბუაი, ბუძიაი, დეიდაი, ბიბილაი... (გვ. 119), აგრეთვე ნათქვამია: „ბიჭები არიან, გვარი გრძელდება ჰამა ჟუარის დამტირებელი (ე.ი. გოგო - მ.ლ.) არ ქვეყავს“ (გვ.121).

ქობულეთელი მუჰაჯირების შთამომავალთა ფოლკლორის ნიმუშები (ძირითადად, ლექსები) მოყვანილი აქვს ასევე, მზია ხახუტაიშვილს სტატიაში „ქობულეთელი მუჰაჯირები თურქეთში“, რომელიც 2008 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ქართველური მემკვიდრეობის“ XII ტომში (გვ. 420-426). იქვე ავტორს მოჰყავს მუჰაჯირების შთამომავალთაგან ჩაწერილი გადმოცემები მუჰაჯირობის შესახებ. მაგალითად, ფაცას სოფ. თახთაბაშის მკვიდრი შევქი კაკალაძის სიტყვით, „ბათომიდან წამოსულან პირველათ ბურსას, ფადიშაჰმა ასტავლა, ვერ მოსთავეფ მაგინს, ბურსას აღარ წეყვანოვო. ათ წელიწადს გეშში ყოფილან... გირესუნს, სინოპს, ბევრი ქართველია. ექვსი სოფელი ვართ ფაცას...“ (გვ. 421); მზია ხახუტაიშვილი ჩამოთვლის ასევე ქობულეთელი მუჰაჯირების შთამომავალთა გვარებს: ცეცხლაძეები, გოგიტიძეები, კაკალაძეები, გოხიძეები, ხახუტაიშვილები, ხინიკაძეები, მესხიძეები, ქათამაძეები, ტაკიძეები ჯინჭარაძეები... (იქვე); აღნიშნავს იმასაც, რომ მათ მეტყველებას შედარებით უფრო ნაკლებად ეტყობა თურქული ენის გავლენა. გარდა ამისა, მისი თქმით, „ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებას შემოუნახავს ბევრი ისეთი ნიშანი, რომელიც დღეს აღარ დასტურდება, ამიტომაც მოპოვებული მასალა მნიშვნელოვანია ისტორიული დიალექტოლოგიისთვის“. ერთ-ერთ ასეთ ნიშანს წარმოადგენს ქალის გვაროვნული კუთვნილების სუფიქსი -ფხე // -ხე; განხილული აქვს ასევე ლექსიკური, ფრაზეოლოგიური და სხვა ამგვარი თავისებურებები.

მზია ხახუტაიშვილის მეორე სტატია: „ქობულეთელ მუჰაჯირთა ენობრივი და ეთნიკური იდენტობის საკითხები“ გამოქვეყნდა 2010 წელს, სოხუმის სახელმწ. უნივერსიტეტის კრებულში „ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები“ (ტომი II, გვ. 391-403). მასში ავტორი ქობულეთელ მუჰაჯირთა თანამედროვე შთამომავლებს, ენობრივ-ეთნიკური

იდენტობის თავისებურებათა მიხედვით, 4 ჯგუფად ჰყოფს: 1) 70 წელს გადაცილებული ქალები, რომელთაც ცუდად იციან თურქული და ძირითადად, ქართულად ლაპარაკობენ; 2) 60 წელს გადაცილებული პირები, რომლებიც ძირითადად ქართულად ლაპარაკობენ, მაგრამ თურქულიც იციან და ამ ენას იყენებენ სხვა ეთნოსთა წარმომადგენლებთან ურთიერთობისას; 3) 35-50 წლის პირები, რომლებსაც განათლება თურქულად აქვთ მიღებული. მათ თურქული სკოლაში შესვლის შემდეგ ისწავლეს; 4) 35 წელზე უმცროსი თაობა. მათმა ნაწილმა კარგად იცის ქართული, ნაწილს კი მხოლოდ ესმის და თურქულად მეტყველება ურჩევნია (გვ. 402).

მართებულია ამგვარი დასკვნაც: „ქობულეთელი მუჰაჯირებისათვის ენა ეთნიკურობის მთავარი მარკერია. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ჩვენებურმა (ქართულმა) გაუძლო დროს, მისი შენარჩუნება დღემდე შეძლეს ეთნიკურმა ქართველებმა. რამ განაპირობა ქართულის შენარჩუნება მუჰაჯირებში? იმან, რომ მხოლოდ ე.წ. ჩურუქსულით, ჩვენებურით, გურჯულით შეიძლება საკუთარი იდენტობის შენარჩუნება უცხო მიწაზე“.

გარდა ამისა, ქობულეთელი მუჰაჯირების შთამომავალთა შესახებ ინგა ლუტიძის 2016 წელს გამოცემულ წიგნში „ქართველები თურქეთში - ენობრივი ვითარება“ მოიპოვება ცნობები: კერძოდ, წიგნის ერთ-ერთ თავში: „ენობრივი ვითარება თურქეთის რესპუბლიკის შავი ზღვის სანაპიროს რეგიონების ქართულ მოსახლეობაში (გირესუნის, ორდუს, სამსუნის, სინოპის, კასტამონუს პროვინციები)“ (გვ. 88-176) ავტორი მიუთითებს, რომ „უნის ილჩეს (რაიონის) სოფელი ჩათალ პინარი (Çatal Pinar) გამორჩეულია იმით, რომ აქ მცხოვრებ ქართველთა დიდი ნაწილი ქობულეთისდან, ციხისძირიდან, ხუცუბანადან წამოსულა, რაც დასტურდება კიდევ მათი მეტყველებით. ჩათალ პინარში მცხოვრებ ქართველთა მეტყველება გურული მეტყველების ტიპური ნიმუშებია“ (გვ. 107; ხაზგასმა ავტორისა - მ.ლ.) როგორც ციტატიდან ჩანს, ინგა ლუტიძე ქობულეთურ კილოვას გურული დიალექტის შემადგენელ ნაწილად თვლის. იგი იქვე ასახელებს სოფელში მცხოვრებთა გვარებს: მჟავანაძეები, შუბლაძეები, კილაძეები, საფილიშვილები, ბეჟანიძეები, ხოხოტაიშვილები... ხოლო მომდევნო - 108-111 გვერდებზე მოჰყავს გრამატიკულ თავისებურებათა მიმოხილვა და მოკლე ტექსტი. 117-ე გვერდზე, ავტორი მიმოიხილავს ქ. ფაცას და მის შემოგარენს. მსჯელობს ფაცას სოფ. კაბახდაღზე, სადაც ხუცუბნიდან და ქობულეთიდან გადმოსახლებული მუჰაჯირების შთამომავალთა 250 კომლი ცხოვრობს, თანაც ასკვნის: „აქ გავრცელებული [გრამატიკული ფორმები] ჩივა, ჩივიან ცხადად მიუთითებს, რომ აქაურები გურიიდან, ქობულეთიდან არიან და მათი მეტყველებაც, შესაბამისად, გურული მეტყველებაა“.

საინტერესოა ასევე, შემდეგი ცნობაც: „აქ ყველა მოსულს, ქართველების გარდა, კაძახს (შდრ. ყაზახი) უწოდებენ: კაძახი მუა“ (გვ.117, ხაზგასმა ავტორისა - მ.ლ.); 118-125 გვერდებზე კი ინგა ლუტიძეს მოჰყავს ფაცას ილჩეს სოფ. კაბახდაღის (მისი ოფიციალური, თურქული დაწერილობა წიგნში არაა მოცემული) ქართული (ქობულეთური) მეტყველებისთვის დამახასიათებელ გრამატ. თავისებურებათა მოკლე მიმოხილვა და რამდენიმე მოკლე ტექსტიც.

პროფესორ როლანდ თოფჩიშვილის ნაშრომშიც, „ისტორიულ-ეთნოგრაფიული სამხრეთი საქართველო და ქართველები თურქეთში“, (თბილისი, 2017) ქობულეთელი მუჰაჯირების შესახებ მოთხრობილია სამ თავში: „ქართველთა განსახლების არეალი შავი ზღვის სამხრეთში“ (გვ. 126-144) „შავი ზღვისპირეთის რეგიონში მცხოვრებ ქართველთა ეთნიკური ცნობიერების პრობლემები“ (გვ.145-150) „შავი ზღვის რეგიონში განსახლებულ ქართველთა გვარები“ (გვ.160-167).